პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 261 (13953) | კვირა, 5 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.




დიდი ლენინის გზით. პლაკატი ვ. იაშვილისა.

# საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ნახევარი საუკუნის წინათ რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, მოახდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. მუშათა კლასი გახდა ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონი. გლეხებმა მიიღეს მიწა. ჩაგრული ერები დაადგნენ თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის გზას. რევოლუციამ გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტური ომიდან, გადაარჩინა ეროვნულ კატასტროფას.

**ოქტომბრის გამარჯვება უდიდესი შემობრუნებაა მსოფლიო ისტორიაში. მან შექმნა პირობები სოციალიზმის აშენებისათვის მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში, დასაბამი მისცა კაცობრიობის განთავისუფლებას ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.** ჩვენთან ერთად ოქტომბრის სახელოვან წლისთავს აღნიშნავენ სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მოძმე პარტიები, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ოქტომბრის რევოლუციამ ენთუზიაზმის ცეცხლი აანთო მილიონობით ადამიანის გულში, ჩაგრულთა და თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლთა შუქურა და იმედი გახდა.

ოქტომბრის ათმა დღემ შეძრა ქვეყნიერება, ნახევარმა საუკუნემ შეცვალა იგი.

1917 წლის ოქტომბერში საბჭოთა რუსეთი პირველი დაადგა სოციალიზმის გზას. ახლა ამ გზას ადგას ბევრი სახელმწიფო და ხალხი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ისტორიული განვითარების მძლავრი ფაქტორი გახდა.

1917 წლის ოქტომბერში მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მხოლოდ ისახებოდა. დღეს ეს მძლავრი პოლიტიკური ძალაა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით მებრძოლ მილიონობით კომუნისტს.

1917 წლის ოქტომბერში მსოფლიოს უდიდეს ნაწილს კოლონიური ჩაგვრის ბორკილი ედო. ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა მძლავრმა გრიგალმა წალეკა საუკუნეობრივი კოლონიური სისტემა, ეროვნული აღორძინებისა და სოციალური პროგრესის გზას ადგებიან წინათ დამონებული ხალხები.

1917 წლის ოქტომბერს მოჰყვა ძირეული ცვლილებანი მსოფლიო პოლიტიკაში. 50 წლის მანძილზე, ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის შემდეგ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო თანმიმდევრულად იბრძვის ჩაგვრისა და აგრესიის, საერთაშორისო პროვოკაციებისა და სამხედრო ავანტიურების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მშვიდობიანი პირობები, დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება და მხარი დაუჭირონ ხალხთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ლენინურმა პარტიამ, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, საბჭოთა ხალხმა თავიანთი რევოლუციური გამოცდილებით ცხადყვეს, თუ რა გზით შეუძლიათ მშრომელებს მიაღწიონ განთავისუფლებას, პრაქტიკით უპასუხეს კითხვაზე, თუ რა არის სოციალიზმი და რას აძლევს იგი მშრომელ ხალხს.

ხუთ ათწლეულში საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, იგი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, მიდის სოციალური პროგრესის ავანგარდში. წარმატებით ხორციელდება მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეები, ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ისახავდნენ ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი.

**ჩვენ მიზნად ვისახავდით მოგვესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. და მივაღწიეთ კიდეც ამ მიზანს.**

სოციალიზმი მშრომელთა საზოგადოებაა. აქ არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი. შრომა გახდა მატერიალური კეთილდღეობის ერთადერთი წყარო, საზოგადოების ყველა წევრის წმიდათა-წმიდა უფლება და საპატიო მოვალეობა. პირველად ისტორიაში მუშის შრომამ, გლეხის შრომამ, ადამიანის შრომამ მოიპოვა მაღალი საზოგადოებრივი აღიარება.

**ჩვენ მიზნად ვისახავდით შეგვექმნა სოციალისტური წარმოება. და მივაღწიეთ კიდეც ამ მიზანს.**

ხალხის გმირული შრომით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მაღალგანვითარებული თანამედროვე ინდუსტრია. წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად აღჭურვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება. გეგმაზომიერი სოციალისტური ეკონომიკა სწრაფი და მყარი ტემპებით ვითარდება.

**ჩვენ ამოცანად ვისახავდით ბოლო მოგვეღო ეროვნული შუღლისა და ჩაგვრისათვის. და ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ამოცანა.**

სოციალიზმმა დაამკვიდრა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ძმური ერთიანობა. მსოფლიოში არ არის იმაზე უფრო მტკიცე და სალი შენადნობი, ვიდრე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაა. ეს მეგობრობა იშვა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში. იგი მტკიცდებოდა ხუთწლედების შრომით ყოველდღიურობაში, იწრთობოდა დიდი სამამულო ომის ცეცხლში. სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობა სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, ჩვენს მომავალ გამარჯვებათა საწინდარია.

**ჩვენ მიზნად ვისახავდით განგვეხორციელებინა სოციალისტური პრინციპი „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით". და განვახორციელეთ კიდეც ეს პრინციპი.**

ჩვენს ქვეყანაში მოისპო სიღატაკე და უმუშევრობა, ექსპლოატატორთა პარაზიტიზმი. სოციალისტური წარმოება ემსახურება ხალხის ინტერესებს, მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. შრომისა და დასვენების, უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების და საპენსიო უზრუნველყოფის უფლება, საბჭოთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანია. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება სოციალისტური საზოგადოების კანონია.

**ჩვენ ამოცანად ვისახავდით შეგვექმნა ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, ახალი, სოციალისტური დემოკრატია, რომლებიც განასახიერებდნენ ხალხის ძალაუფლებას და ძალაუფლებას ხალხისათვის. და შევასრულეთ კიდეც ეს ამოცანა.**

ოქტომბრით შობილმა სოციალისტურმა დემოკრატიამ ხალხის ფართო მასები აზიარა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვას, ფართო ასპარეზი შექმნა მშრომელი ხალხის უნარის, ცოდნის, ნიჭის გამოსაყენებლად. პირველად ისტორიაში შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ძალაა მასების შეგნებულობა და ორგანიზებულობა. ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდნენ მისი შემოქმედნი — ისინი, ვინც იღებს მადანსა და ქვანახშირს, ადნობს ლითონს, ხნავს მიწას, სწვდება ატომის საიდუმლოებებსა და კოსმოსის სიღრმეებს, ვინც ქმნის მთელ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს.

**რევოლუციამ დაგვისახა მიზანი — აღგვეზარდა მშრომელები მაღალი სოციალისტური შეგნებულობის სულისკვეთებით. დღეს სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ კომუნიზმის დიადი საქმისათვის შესანიშნავ მებრძოლთა თაობები.**

(დასასრული მე-2 გვ.)

# საინფორმაციო ცნობა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის შესახებ

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, 1967 წლის 4 ნოემბერს გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

10 საათზე გაიხსნა დილის სხდომა. თავმჯდომარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

სიტყვა ეძლევა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ანტონინ ნოვოტნის, რომელსაც მხურვალედ ხვდებიან საზეიმო სხდომის მონაწილენი.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. რ. რაშიდოვმა.

დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. იანოშ კადარის გამოსვლას.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ა. კუნაევმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტოდორ ჟივკოვმა, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ საზეიმო სხდომის მონაწილენი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. ლუიჯი ლონგოს გამოსვლას.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ი. ახუნდოვმა.

სხდომაზე გამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. სნეჩკუსმა.

გამოვიდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუ, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს დანგ ჩან თხის, რომელმაც მგზნებარედ ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხის მამაცურ ბრძოლაზე ამერიკელ იმპერიალისტთა და მათი სამხრეთვიეტნამელი მარიონეტების აგრესიის წინააღმდეგ. დანგ ჩან თხიმ სამხრეთ ვიეტნამის მებრძოლი ხალხის სახელით დიდი მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას, საბჭოთა ხალხს მხარდაჭერისა და დახმარებისათვის სამხრეთვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლაში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით წარმოთქვა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ი. ბოდიულმა.

სხდომაზე გამოვიდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. დოლორეს იბარური. საზეიმო სხდომის ყველა მონაწილე მხურვალედ მიესალმა კომუნისტური მოძრაობის უხუცეს მოღვაწეს, რევოლუციის ქედუხრელ მებრძოლს.

გაისმის მარში და დარბაზში მწყობრი ნაბიჯით შემოდის საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დელეგაცია საბრძოლო, დიდებით მოსილი დროშებით.

ჯარისკაცებისა და მატროსების, სერჟანტებისა და ოფიცრების, გენერლებისა და ადმირალების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ყველა მეომრის სახელით საზეიმო სხდომის მონაწილეებს გულითადად მიესალმა კანტემირის გვარდიის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სატანკო დივიზიის მეთაური სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ამხ. ნ. ი. ლაპიგინი.

(დასასრული მე-2 გვ.)

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის გახსნის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა გაიხსნება ხვალ, 6 ნოემბერს, დღის 1 საათზე სპორტის სასახლეში.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე ჩამოსული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს 5 ნოემბერს დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე და 6 ნოემბერს დილის 9 საათიდან 11 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში.

# ოქტომბრის რევოლუციის ორდენები გადაეცათ ქალაქებს მოსკოვსა და ლენინგრადს

მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში და დიდი წვლილისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში, მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოიჩინეს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, წარმატებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით დააჯილდოვა ქალაქები მოსკოვი და ლენინგრადი. (საკდესი).

# ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი ლენინგრადს გაემგზავრნენ

4 ნოემბერს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი, რათა მონაწილეობა მიიღონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საკდესი).

# საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

სოციალიზმმა ბოლო მოუღო უმუშევრობას და გაჭირვებას, მოსპო მასობრივი უწიგნურობა. ცოდნა და კულტურა ხალხის კუთვნილება გახდა. სოციალისტური იდეოლოგია საზოგადოებრივი ცნობიერების განმსაზღვრელ მძლავრ შემოქმედებით ძალად იქცა. [illegible]

დიდი რევოლუციის ორმოცდაათი წელი [illegible] ვინც ცეცხლ-სისხლში, იარაღით ხელში იცავდა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკას, ვინც ავითარებდა სოციალისტური სახელმწიფოს ინდუსტრიულ ძლიერებას, ქმნიდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ვინც დაიცვა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა დიდი სამამულო ომის წლებში, ვინც აღადგინა სახალხო მეურნეობა და ახლა აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა ადამიანების უდიდესი თავდადებითა და მამაცობით, რევოლუციური იდეალებისადმი ერთგულებითა და შეგნებული დისციპლინით.

განვიცდით რა კანონიერი სიამაყის, დიდი კმაყოფილების გრძნობას სოციალიზმის გრანდიოზული წარმატებების გამო, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ განვლილი გზის მთელ სირთულეს. პარტია და ხალხი აშენებდნენ ახალ საზოგადოებას ისე, რომ არ უშინდებოდნენ გაუკვალავი გზების სიძნელეებს. ჩვენ გავიარეთ მკაცრი გამოცდა, განვიცადეთ როგორც გამარჯვებების სიხარული, ისე დანაკლისის მწუხარება, გამოვიტანეთ გაკვეთილები დროებითი წარუმატებლობებიდან და შეცდომებიდან. გამარჯვებათა ზეიმის დღეებში, ისევე როგორც მკაცრი გამოცდის დროს, მთელი სისრულით გამოვლინდა ჩვენი ხალხის კეთილშობილური თვისებანი, მისი რევოლუციური შეგნებულობა და თავდადებულება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი.

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალიზმმა ახალი სიცოცხლე შთაბერა ჩვენს ქვეყანას, მოუტანა თავისუფალი შრომის ბედნიერება, მიზანმიმართული შემოქმედების უშრეტი ენერგია. სოციალისტური მშენებლობის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგები ჩვენს წინაშე გადაშლიან კომუნიზმზე გადასვლის დიდებულ პერსპექტივებს.

**ჩვენ მიზნად ვისახავთ ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება. და ავაშენებთ კიდეც!**

საბჭოთა ხალხი თავისი შრომითა და ბრძოლით კომუნიზმის იდეალებს პრაქტიკულად ახორციელებს. ლენინურმა პარტიამ თავის პროგრამაში, XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების ძირითადი გზები. დიდი ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

კომუნისტური საზოგადოება რომ ავაშენოთ, უნდა გადავწყვიტოთ მთავარი ეკონომიური ამოცანა — შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ყოველმხრივი გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი ზრდა და ამის მეოხებით მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

კომუნისტური საზოგადოება რომ ავაშენოთ, ბეჯითად უნდა სრულვყოთ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა: თანმიმდევრულად განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აღმოიფხვრას არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებს შორის; განვავითაროთ ერებისა და ეროვნებების ეკონომიკა და კულტურა, უზრუნველვყოთ მათი უფრო მჭიდრო ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება; განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკური საფუძველი და მატერიალური ბაზა, საბჭოთა სახელმწიფო, განვავითაროთ სოციალისტური დემოკრატია; გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა.

კომუნიზმი რომ ავაშენოთ, ბეჯითად უნდა აღვზარდოთ საზოგადოების ყველა წევრი მაღალი შეგნებულობის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; ყველა მოქალაქე ჩავაბათ საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ავამაღლოთ მშრომელთა ორგანიზებულობა და დისციპლინა; ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმები; გამოვიყენოთ თავისუფალი დრო ადამიანის სულიერი გამდიდრებისათვის; სრულვყოთ საშუალო და უმაღლესი განათლება, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სამეცნიერო კვლევა, ავამაღლოთ ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი როლი.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი, მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, კონსტრუქტორები, მრეწველობის ყველა მუშაკი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, ეკონომიური რეფორმის პრაქტიკული განხორციელებისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის შეჯიბრების გაშლა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდის, კომუნიზმისაკენ დაჩქარებული წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კვლავაც განუხრელად აამაღლებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას, შეამცირებენ შრომის დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, უფრო ბეჯითად გააუმჯობესებენ თავიანთი მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებს, უნარიანად და ყაირათიანად გაუძღვებიან მეურნეობას. ამაზეა დამოკიდებული პურის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება, სოფლის ცხოვრების, მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასწავლებლები, ექიმები, მთელი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას ხალხის წინაშე, მთელ ძალებსა და ცოდნას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, ბეჯითად განავითარებენ მეცნიერებასა და ტექნიკას, შეიტანენ მასებში კულტურას, ხელს შეუწყობენ მოზარდი თაობის აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით.

დღეს მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო საბჭოთა ქალებო. დიდმა ოქტომბერმა ძირეულად შეცვალა თქვენი ბედი, გაგიხსნათ ფართო ნათელი გზა ახალი ცხოვრებისაკენ. თქვენი თავდადებული შრომითა და ზრუნვით შვილების აღზრდისათვის თქვენ შესანიშნავი წვლილი შეგაქვთ ჩვენს საერთო საქმეში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა ჩვენი ქვეყნის ქალებს ჰქონდეთ უფრო მეტი შესაძლებლობანი თავიანთი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის განვითარებისათვის.

თქვენ მოგმართავთ, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! სამშობლოს ერთგულო შვილებო, თქვენ ახმართ მას ახალგაზრდულ ენერგიას. უფროს თაობასთან ერთად თავდადებულად მუშაობთ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, ეუფლებით ცოდნას, მუშაობთ კოსმოსის ათვისებაზე, წიაღის სიმდიდრეთა გამოვლინებაზე. თქვენს ხელთ არის სამშობლოს მომავალი.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ ღირსეული განმგრძობნი იქნებით ლენინის დიადი საქმისა, ვაჟკაცურად დაიცავთ ოქტომბრის იდეალებს, და თუ საჭირო იქნება, იარაღით ხელში დაიცავთ სოციალისტური სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! სხვა სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად თქვენ დგახართ ოქტომბრის მონაპოვართა, სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე, საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის სადარაჯოზე, ბეჯითად დაეუფლეთ სამხედრო ტექნიკასა და იარაღს, სრულყავით თქვენი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, საიმედოდ დაიცავით საბჭოთა კავშირის საზღვრები, გააძლიერეთ სიფხიზლე, განამტკიცეთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენი ხალხი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მის მშვიდობიან შრომას საიმედოდ იცავენ სახელოვანი საბჭოთა შეიარაღებული ძალები.

ამხანაგო მუშებო, კოლმეურნეებო, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენო, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებო!

**ჩვენი განვითარების ორმოცდაათი წლის გზა მშრომელი ხალხისა და კომუნისტური პარტიის ურღვევი ერთიანობის უაღრესად მკაფიო დადასტურებაა.**

პარტიამ გაუღვიძა ხალხის მასებს თავიანთი ძალის შეგნება. ჩაუნერგა რწმენა, რომ შეუძლიათ ააშენონ ქვეყნად ახალი, უკეთესი სამყარო. დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა კომუნისტური პარტია, — მუშათა კლასის საქმე, გახდა მთელი ხალხის საქმე. საბჭოთა ხალხმა ჩვენს პარტიას დიდი ნდობა გამოუცხადა როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ პარტიას. ჩვენი პარტია აფასებს ამ ნდობას. მას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დარწმუნებული იყონ, რომ კომუნისტები ყოველთვის იქნებიან ჩვენი დიადი საქმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში. მოწინავე თეორიითა და უმდიდრესი პოლიტიკური გამოცდილებით შეიარაღებული პარტია სახავს სწორ კურსს, რომელსაც მივყავართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

**დიდი დღესასწაულის დღეებში საბჭოთა ხალხი გულითად მადლობას უძღვნის თავის საზღვარგარეთელ ძმებს.**

ჩვენ გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება გმირობა ინტერნაციონალისტი მებრძოლებისა, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ სამოქალაქო ომის ძნელბედობის დროს.

ჩვენ გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება ძმური მხარდაჭერა, რომელიც ჩვენს სამშობლოს გაუწიეს ეკონომიკის აღდგენისა და პირველი გმირული ხუთწლედების დაუვიწყარ წლებში.

ჩვენ გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება ჩვენი ერთობლივი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ომის წლებში.

თქვენ, ძვირფასო საზღვარგარეთელო ამხანაგებო და მეგობრებო, მხურვალე მადლობას გიძღვნით მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნისადმი თქვენი ინტერნაციონალური გრძნობებისათვის, თქვენი უანგარო და თავდადებული მხარდაჭერისათვის.

**საბჭოთა ხალხი, რომელიც იწყებს დიდი რევოლუციის მეორე ორმოცდაათწლეულს, მაღლა ატარებს კომუნიზმის იდეებს, დიდი ოქტომბრის იდეებს.** ჩვენ ვეყრდნობით სოციალისტური მშენებლობის მიღწეულ წარმატებებს, შეიარაღებული ვართ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, ჩვენს მხარეზეა ცხოვრების სიმართლე, ჩვენი ძალები აურაცხელია. ჩვენს მხარდამხარ მოდიან სოციალიზმის მოძმე ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლების ძალები. ვერავინ და ვერაფერი ვერ შეგვაჩერებს ჩვენი საბოლოო მიზნის განხორციელების — კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს ახალ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს ჩვენი დიადი კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს!

გაუმარჯოს მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების ერთიანობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობასა და მეგობრობას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — ახალი საზოგადოების შემოქმედს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |
|---|---|---|

1967 წლის 4 ნოემბერი.

---

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საბოლოო სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

ჩვენი სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, მუშაობას ამთავრებს. იგი მიმდინარეობდა მთელი პარტიის, მთელი ხალხის, მთელი ჩვენი ქვეყნის უდიდესი აღმავლობის ატმოსფეროში. აქ, ამ დარბაზში, თითქოს კვლავ გაიარა ჩვენს თვალწინ საბჭოთა სახელმწიფოს მთელმა სახელოვანმა ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ. ჩვენს წინაშე გადაიშალა აგრეთვე საბჭოთა ხალხის დღევანდელი მჩქეფარე, შემოქმედებითი ცხოვრების მკაფიო სურათი, თანამედროვე რთული და ბობოქარი მსოფლიოს სურათი.

საბჭოთა ადამიანებმა, მშრომელთა კოლექტივებმა უამრავი მილოცვა, მისალმება და პატაკი გამოუგზავნეს ჩვენს საზეიმო სხდომას. მისალმებათა ამ ნაკადმა გვაგრძნობინა ჩვენი დიდი სამშობლოს კოლოსალური ცხოველმყოფელი ენერგია, მძლავრი შრომითი სუნთქვა. ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა მშრომელს, ყველა კოლექტივს, რომლებმაც ეს წერილები და დეპეშები გამოგვიგზავნეს, და ვუსურვო მათ ახალი შესანიშნავი წარმატებანი ხალხის საკეთილდღეოდ შრომაში, ვუსურვო დიდი ბედნიერება ცხოვრებაში!

აქ, ამ დარბაზში, გამოვიდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილნი. მათი სიტყვები აღსავსე იყო სიამაყით იმ გრანდიოზული წარმატებებისათვის, რომლებიც სოციალიზმმა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისათვის, მთელი ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისათვის. მათი სიტყვები აღსავსე იყო რწმენით, რომ პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მტკიცე მეგობრობა კვლავაც იქნება დიდი ოქტომბრის სამშობლოს შემდგომი წარმატებების, კომუნიზმისაკენ მისი ძლევამოსილი წინსვლის ურყევი საფუძველი.

აქედან, ამ დარბაზიდან, მთელმა მსოფლიომ მოისმინა მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა სიტყვები. მათ აღნიშნეს სოციალიზმის ძალების შესანიშნავი გამარჯვებანი, თქვეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის შეკავშირება და ძლიერება, რომ საჭიროა ერთიანობა ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

აქ, ამ დარბაზში, მოვისმინეთ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მგზნებარე სიტყვები. მათ მკაფიოდ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა ჩვენი მაღალი იდეალების განხორციელებისათვის, რომ კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმი ესწრაფვის მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებას.

აქ, ამ დარბაზში, გულშიჩამწვდომი სიტყვები წარმოთქვეს იმ ქვეყნებისა და ხალხების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის უღელი და დაადგნენ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას.

კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი დიდ მადლობას უძღვნიან ჩვენს მეგობრებს იმ წვლილის დიდად დაფასებისათვის, რომელიც სოციალიზმის სამშობლოს შეაქვს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის საქმისათვის, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ნება მიბოძეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალე მადლობა ვუძღვნა ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს გულითადი მისალმებებისათვის, ჩვენი ქვეყნისადმი ძმური მეგობრობის გრძნობებისათვის, რომლებიც ამ მისალმებებში გამოთქვეს, და ჩვენი მხრივ ვუსურვოთ ახალი წარმატებანი თავიანთი ხალხების ბედნიერებისათვის თავდადებულ ბრძოლაში.

თქვენი სიტყვები, ძვირფასო მეგობრებო, საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებენ ახალი საქმეებისათვის კომუნიზმის სასახელოდ. დღეს ყველანი განვიცდით იმ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობას, რომელიც ისტორიამ დააკისრა ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს. ჩვენი დიდი დღესასწაულის დღეს ვფიქრობთ არა მარტო წარსულ საქმეთა სიდიადეზე, არამედ იმ მომავალ ამოცანათა და საქმეთა სიდიდეზე, რომლებიც მოგველის.

ამ მაღალი ტრიბუნიდან პირობას ვაძლევთ მსოფლიოს ხალხებს, ყველა ქვეყნის მშრომელებს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც თავდადებით იბრძოლებს მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი, კეთილშობილური და სამართლიანი იდეების განხორციელებისათვის!

ამხანაგებო! ძალღონით აღსავსე, მტკიცე ნაბიჯით შედის ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების მეორე ორმოცდაათწლეულში. 50 წლის წინათ დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განთიადი. ახალი სამყაროს ამომავალი მზის პირველმა სხივებმა გაჭკვეთეს სოციალური ჩაგვრის საუკუნოვანი წყვდიადი. დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოქტომბრის სხივები მთელ კაცობრიობას უნათებენ მომავლის გზას. არასოდეს არ ყოფილა ასე ახალგაზრდა ჩვენი უძველესი პლანეტა. და ეს სიჭაბუკე მას მიანიჭა ახალი ცხოვრების შუქმა, რომელიც 1917 წელს აანთო რუსეთის პროლეტარიატმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ქვეყანა თავისი სოციალისტური ისტორიის პირველი საუკუნის მეორე ნახევარში შევა. საბჭოთა ადამიანები ამ მიჯნაზე აღსავსენი არიან სიამაყის გრძნობით ყოველივე იმისათვის, რაც გაკეთდა, და დარწმუნებული არიან, რომ შეძლებენ მეტის გაკეთებას.

ახლა საბჭოთა ხალხის მეცადინეობა, მისი შემოქმედებითი ენერგია ხმარდება კომუნიზმის მშენებლობის ახალი დიდი ამოცანების შესრულებას. ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა ორგანიზებულობა, სიმტკიცე და მიზანსწრაფულობა. ყოველივე ეს აქვთ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი თავიანთი ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო. ეჭვს არ იწვევს, რომ პარტიის მიერ დასახული გეგმები წარმატებით განხორციელდება. ჩვენ მტკიცედ მივდივართ წინ დიდი ოქტომბრის გზით.

ოქტომბრის გზით სვლა ნიშნავს განვამტკიცებდეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, ვზრდიდეთ შრომის ნაყოფიერებას, ვამაღლებდეთ ხალხის ცხოვრების დონესა და კულტურას.

ოქტომბრის გზით სვლა ნიშნავს ვავითარებდეთ სოციალისტურ დემოკრატიას, განვამტკიცებდეთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ბეჯითად ვზრდიდეთ ადამიანებს კომუნიზმის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ პარტიისა და ხალხის ერთიანობას.

ოქტომბრის გზით სვლა ნიშნავს თანმიმდევრულად ვიბრძოდეთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისათვის, სოციალიზმის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის.

ოქტომბრის გზით მივედით ჩვენ სოციალიზმის გამარჯვებამდე!

ოქტომბრის გზით მივალთ კომუნიზმის გამარჯვებამდე!

დიდება დიდ ოქტომბერს!

დიდება საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის მშენებელს!

დიდება სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

დიდება მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს!

მარქს-ენგელს-ლენინის უძლეველი დროშით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

---

## საინფორმაციო ცნობა

(დასასრული)

**საღამოს, შესვენების შემდეგ გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.**

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ე. ვოსმა.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. იუმჟაგიინ ცედენბალის გამოსვლას.

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ტ. უ. უსუბალიევმა.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრს ცენტრალური კომიტეტის მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ცოი ენ გენს.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. რ. რასულოვმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ვილე პესიმ, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ სხდომის მონაწილენი.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ე. კოჩინიანმა.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. გეს ჰოლის გამოსვლას.

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. ოვეზოვმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ალი საბრიმ, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ სხდომის მონაწილენი.

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. გ. კებინმა.

სხდომაზე გამოვიდა გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრი, ფინანსთა და დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრი საიფულაი დიალო, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ მალის რესპუბლიკის რევოლუციის დაცვის ეროვნული კომიტეტის წევრს, იუსტიციისა და შრომის მინისტრს მამადუ მადეირა კეიტას.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სირიის ხელმძღვანელობის წევრის იბრაჰიმ მახუსის გამოსვლას.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. ჯონ გოლანის გამოსვლას.

სხდომაზე გამოვიდა ბრაზავილის კონგოს ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მდივანი, ეროვნული რეკონსტრუქციისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი კლოდ და კოსტა, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. როდნეი არისმენდის გამოსვლას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრმა, ფინანსთა და გეგმის მინისტრმა აჰმედ ყაიდმა, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მაქს რაიმანის გამოსვლას.

დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შრიპატ ამრით დანგეს სიტყვას.

სხდომაზე გამოვიდა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის, ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიისა და „აფრიკა-შირაზის“ (ზანზიბარი) პარტიის გაერთიანებული დელეგაციის მეთაური, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიურ საკითხთა და განვითარების დაგეგმვის მინისტრი პოლ ბომანი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლუის კორვალანის გამოსვლას.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ.

ამით დახურულად ცხადდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომის მონაწილენი დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

---

## ამხანაგი ხო ში მინი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოჩენილი რევოლუციონერი და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე, სოციალიზმისათვის საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის განმტკიცებისათვის თანამიმდევრული მებრძოლი ხო ში მინი — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

## ამხანაგი შ. რ. რაშიდოვი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. შარაფ რაშიდის-ძე რაშიდოვი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბრის დროშა ფრიალებს მსოფლიოში!

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა

3 ნოემბერს შესვენების შემდეგ დაიწყო საღამოს სხდომა. ტრიბუნასთან მიდის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია რუსეთის სფსრ დროშითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით, რომლითაც რესპუბლიკა დაჯილდოვდა ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი. მან ილაპარაკა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე. იქ, სადაც წინათ გაუვალი ტაიგა იყო, ახლა გადაჭიმულია გიგანტი ქარხნების კორპუსები, მძლავრი ელექტროსადგურების კაშხალებმა კი გზა გადაუღობეს ციმბირის მდინარეებს. ჩრდილოეთში, პოლარული წრის მიღმა, აშენდა ახალი სამრეწველო ცენტრები — ვორკუტა, მაგადანი, ნორილსკი. ძველ გეოგრაფიულ რუკებზე ვერ ნახავთ ბრატსკს, დივნოგორსკს, მირნის, ნოვოკუზნეცკსა და ბევრ სხვა ქალაქს, რომლებიც რესპუბლიკის აღმოსავლეთში შეიქმნა უკანასკნელი წლების მანძილზე. სახეს იცვლის ტიუმენის ჭანჭრობები და ჭაობები, ტომსკის მხარე და რუსეთის ბევრი სხვა მანამდე მიგდებული რაიონი. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით, ომებით გამოწვეულ სიძნელეთა და ნგრევის მიუხედავად, 67-ჯერ გაიზარდა.

შარშან მარცვლის წარმოებამ რუსეთის სფს რესპუბლიკაში 100 მილიონამდე ტონა შეადგინა. დაახლოებით ამდენივე მარცვალი მოიწიეს წლევანდელ საიუბილეო წელსაც. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2 მილიარდ 100 მილიონი ფუთი პური. დღესასწაულისათვის გადაჭარბებით შესრულდა შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის დამზადების წლიური გეგმები.

რუსეთის ფედერაციის ხალხთა წარმატებანი განუყოფელია საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა წარმატებებისაგან. ეს წარმატებანი განპირობებულია იმით, რომ რუსეთის ხალხები, ეხმარებოდნენ რა სსრ კავშირის სხვა ხალხებს, თავის მხრივაც იღებდნენ და იღებენ მათგან ფასდაუდებელ დახმარებასა და მხარდაჭერას. სწორედ ეს არის ხალხთა ძმური მეგობრობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მოქმედებაში, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უძლეველ ლენინურ სიმაგრედ გადააქცია.

ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ XX საუკუნის პირველმა ნახევარმა მსოფლიო ისტორიაში ჩაიარა ოქტომბრის დროშით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით. ეჭვი არ არის, რომ ამ ძლევამოსილი დროშით წარიმართება განვითარება ჩვენი დიადი საუკუნის, მშრომელი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა საუკუნის, კომუნიზმის საუკუნის. მეორე ნახევარშიც!

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით საბჭოთა ხალხებს ძმურად მიესალმა და გულითადად მიულოცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ.

პოლონელ ხალხს, თქვა მან, აქვს განსაკუთრებული მიზეზები, რომ საკუთარი დღესასწაულით აღნიშნოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნე, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა პოლონეთის დაყოფა და გაუკვალა დამოუკიდებლობის მოპოვების გზა 1918 წელს. მეოთხედი საუკუნის წინათ საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა პოლონელი ხალხი ჰიტლერული ოკუპაციისაგან, ხელი შეუწყო პოლონეთის აღორძინებას ოდერ-ნეისესა და ბალტიკის სამართლიან საზღვრებში.

ორატორმა აღნიშნა, რომ სოციალიზმის იდეა თავისი ბუნებით ინტერნაციონალური და ზოგადკაცობრიულია, და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი 50 წლის მანძილზე მთელი თავისი საზოგადოებრივი მიღწევებით, თავისი მატერიალური და სულიერი ძლიერებით, მთელი თავისი პოლიტიკით ემსახურებოდა და ემსახურება მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების საქმეს, ხალხთა თავისუფლების საქმეს, მშვიდობის საქმეს.

ჩვენ ახალი სოციალისტური ერის მეორე ორმოცდაათწლეულს ვიწყებთ იმის ღრმა, ისტორიით დადასტურებული რწმენით, რომ მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაში პოვებს კაცობრიობა ჩვენი დროის ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზებს.

კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების საქმეში ისტორიული მასშტაბით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორი საზოგადოებრივი სისტემის შეჯიბრების მსვლელობას ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. საბჭოთა კავშირის 50 წლის მიღწევების შედეგები, რომლებიც ასე შთამბეჭდავად გააშუქა თავის მოხსენებაში ამხანაგმა ბრეჟნევმა, დიდებული დადასტურებაა სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის უპირატესობისა.

დაე ახალ ეპოქაში ინტერნაციონალიზმის იდეები იყოს ყველა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გზის მანათობელი ვარსკვლავი, დაე ამ იდეებმა გაიმარჯვონ ნაციონალისტურ ცრურწმენებზე, თქვა დასასრულ ვლადისლავ გომულკამ. დაე ამ იდეათა დროშით შეკავშირდნენ ჩვენი ძალები იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან ზოგადსაკაცობრიო ფრონტად!

ტრიბუნას უახლოვდება უკრაინის სსრ დელეგაცია. უკრაინის დელეგაციის სახელით გამოსვლისათვის სიტყვა ეძლევა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პ. ე. შელესტს.

ჩვენი პარტია, თქვა მან, მშვიდად და მტკიცედ აანალიზებს ბრძოლებისა და გამარჯვებების განვლილ გმირულ გზას, სახავს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პერსპექტივებს. სწორედ ამით არის გამსჭვალული ჩვენს სხდომაზე გაკეთებული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შინაარსიანი, მკაფიო, შთამბეჭდავი მოხსენება.

დიდი ოქტომბრის დროშა, განაგრძო ორატორმა, მარად იფრიალებს დედამიწაზე. ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის წინაშე ვფიცავთ: უკრაინელი კომუნისტები, უკრაინელი ხალხი მუდამ ერთგული იქნებიან ოქტომბრის დიადი დროშისა, ლენინის დროშისა!

უკრაინელი ხალხი ამაყობს იმით, რომ იგი რუს და სხვა მოძმე ხალხებთან ერთად იბრძოდა ოქტომბრის გამარჯვებისათვის და რუსი ხალხის შემდეგ პირველმა დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების მძლავრ ოჯახში მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა და თავისი მიწები გააერთიანა უკრაინის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში უკრაინაში 47-ჯერ გაიზარდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. მის წილად ახლა მოდის ქვანახშირის საერთო საკავშირო მოპოვების მესამედი, რკინის მადნის — ნახევარზე მეტი, თუჯის წარმოების ნახევარი, ფოლადის და ნაგლინისა — ორმოც პროცენტზე მეტი, ტრაქტორებისა — მესამედი.

წინადღესასწაულო დღეებში რესპუბლიკაში ამუშავდა ახალი საწარმოები, კომპლექსები, აგრეგატები. საექსპლოატაციოდ გადაცემულია კრივოი როგში მსოფლიოში უდიდესი ბრძმედი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სახელს ატარებს, მილიონ 700 ათასი ტონა თუჯი წელიწადში — ასეთია ახალი ბრძმედის მწარმოებლობა. ეს შეადგენს მთელი თუჯის წარმოების ორმოც პროცენტზე მეტს, რასაც მეფის რუსეთი უშვებდა.

ყველაფერი, რითაც სახელი აქვს დღეს მოხვეჭილი უკრაინას, შესაძლებელი გახდა იმით, რომ განუხრელად ხორციელდება პარტიის გენერალური ხაზი, რომ თავდადებულად შრომობს ხალხი კომუნიზმის აშენებისათვის.

ცხოვრების კანონი გახდა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ერთობა, თქვა ორატორმა დასასრულ. ეს არის ოქტომბრის დიადი მონაპოვარი! უკრაინელი ხალხი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და უფრთხილდება ხალხთა მეგობრობას. დაე ჩვენი ხალხების მეგობრობა მუდამ წყაროსავით ანკარა, ალმასივით მტკიცე, მზესავით ნათელი და თბილი, სამყაროსავით მარადიული იყოს!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა აღნიშნა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში საბჭოთა კავშირის დიდი წარმატებანი და ამოცანები გაშუქებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შთამაგონებელ მოხსენებაში.

ვ. ულბრიხტმა მღელვარებით გაიხსენა ვ. ი. ლენინთან შეხვედრები, უცხოელი კომუნისტებისადმი მიმართული ლენინური მოწოდება: შეისწავლეთ რევოლუციური მუშაობის ორგანიზაცია, შენება, მეთოდი და შინაარსი, გადაიღეთ რუსეთის გამოცდილების ნაწილით.

ახალი, ანტიიმპერიალისტური გერმანიის შექმნის გზა დაისახა მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა არმიამ უსაზღვრო მსხვერპლის ფასად დიდ სამამულო ომში მოიპოვა გამარჯვება ჰიტლერულ ფაშიზმზე. ქვეყნის დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნა უკვე დიდი ხანია ისტორიული აუცილებლობა გახდა.

ცდილობდნენ რა შეეჩერებინათ ეს ისტორიულად გარდუვალი პროცესი, დასავლეთის სახელმწიფოებმა შექმნეს სეპარატიული დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო, როგორც გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის ბატონობის რესტავრაციის ბაზა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა ვალტერ ულბრიხტმა, ის არის, რომ ხელი შეუშალოს ახალი ომის გაჩაღებას გერმანიის ტერიტორიიდან, რასაც დასავლეთგერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები ცდილობენ.

საჯაროდ აღვთქვამთ, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ ძალღონეს არ დავიშურებთ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ ჩვენ ძალებსა და უნარს მოვახმართ სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების საქმეს!

თავმჯდომარე აცხადებს: ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სიტყვა ეძლევა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პ. მ. მაშეროვს.

ორმოცდაათი წელი დიდი დრო არ არის კაცობრიობის ისტორიაში, თქვა მან, მაგრამ ორმოცდაათმა საბჭოთა წელმა, რომელთა შესახებ ასე მკაფიოდ, შინაარსიანად და შთამბეჭდავად ილაპარაკა მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გარდაქმნეს არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიოც.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე განაგრძო ორატორმა, ბელორუსიამ მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაღალ დონეს. და ეს იმ საშინელი ნგრევისა და მსხვერპლის მიუხედავად, რაც რესპუბლიკას მოუტანეს ომის მრისხანე და მძიმე წლებმა! ბელორუსიის მიწაზე, ისევე როგორც მთელ საბჭოთა მიწაზე, შეიქმნა და იქმნება უდიდესი მატერიალური და კულტურული ფასეულობანი. მაგრამ ჩვენი ყველაზე ძვირფასი, განუმეორებელი სიმდიდრე, ჩვენი სიამაყე და დიდება არის საბჭოთა ადამიანი — ამაღლებული ოცნებების და შთაგონებული შემოქმედებითი შრომის, დიდი მამაცობისა და სიმტკიცის, მაღალი იდეურობისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანი. ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით მიდიოდა ძნელი, მაგრამ პირველაღმომჩენის სახელოვანი გზით. ვერც ბრძოლისა და შრომის მკაცრმა პირობებმა, ვერც დროებით წარუმატებლობათა სიმწარემ ვერ შეაჩერა მისი ძლევამოსილი წინსვლა პარტიის ხელმძღვანელობით!

ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მიგვაჩნია კომუნისტთა პარტიის სიდიადედ, მთელი საბჭოთა ხალხის სიდიადედ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ოქტომბრის იდეების მძლავრ, ყოვლისმძლე ძალად.

დიდი ოქტომბრის მონაპოვრები ჭეშმარიტად ეპოქალურია. საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სულიერ პოტენციალში ხორცი შეისხეს ამ მონაპოვრებმა და საიმედო საფუძველს ქმნიან კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის.

დარბაზში ქუხს ოვაცია, როცა ტრიბუნაზე ადის ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი. ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი მიესალმება ვიეტნამელ ხალხს, და ამით გამოხატავს მხურვალე სოლიდარობას მის გმირულ ბრძოლასთან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

— იმპერიალიზმის მსხვრევა და სოციალიზმის გამარჯვება, — განაცხადა ლე ზუანმა, ჩვენი ეპოქის — მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის იმ ეპოქის ისტორიული გარდუვალობა და რეალობა ხდება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო რუსეთში. ოქტომბრის რევოლუცია ვიეტნამელ ხალხსაც დაეხმარა გამოენახა განთავისუფლების გზა.

იმპერიალიზმის მსხვრევის საფრთხის წინაშე ამერიკელმა იმპერიალისტებმა საერთაშორისო ჟანდარმის როლი იკისრეს. მაგრამ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა იმპერიალისტებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ყოველივე, რასაც მოისურვებდნენ. ვიეტნამელ ხალხს აქვს ყველა შესაძლებლობა, მას აქვს გამოცდილება და მტკიცე გადაწყვეტილება, რათა სრული გამარჯვება მოიპოვოს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტ აგრესორებზე.

საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მსოფლიოს ყველა ხალხის დახმარება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებისათვის. ნება მიბოძეთ, ამბობს ლე ზუანი, ჩვენი პარტიის, ვიეტნამის ეროვნული კრების, მთავრობისა და ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს დიდი და მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

სახელოვან გზას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ გაუკვალა კაცობრიობას, ახალი შესანიშნავი გამარჯვებებისაკენ მივყავართ. მსოფლიო რევოლუციური პრაქტიკა დღითი დღე სულ უფრო დამაჯერებლად ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ ძალას!

— ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო თანამედროვე ისტორიის გადამწყვეტი შემობრუნება, — თქვა თავის გამოსვლაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ. — ფრანგ ხალხს მუდამ ეხსომება, რომ თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ბევრად უნდა უმადლოდეს ოქტომბრის შვილების გმირობას, რომელიც მათ გამოიჩინეს ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლებში. ჩვენს დროში, 1917 წლის ოქტომბერსა და 1945 წლის მაისში მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად იმპერიალიზმს ძალა არ შესწევს განაგებდეს მსოფლიოს ბედს. იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძლიერებას, ხალხთა დიად მოძრაობას ეროვნული განთავისუფლებისათვის, მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობას, მშვიდობის ძალების ორგანიზებულ მოქმედებას.

საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური პარტია დღეს კვლავ გვიჩვენებენ თავიანთ ინტერნაციონალიზმს, ქმედით, ყოველნაირ დახმარებას უწევენ გმირ ვიეტნამელ ხალხს ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმპერიალისტებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და ანტიიმპერიალისტური ძალების გათიშვის იმედი აქვთ. ამიტომ არა არის რა იმაზე უფრო არსებითი ამოცანა, ვიდრე მთელი მსოფლიოს ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთობის უზრუნველყოფა. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს წინადადებას, რომ მომზადდეს და მოწვეულ იქნეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი.

— გაუმარჯოს კომუნიზმს! — ასე ამთავრებს თავის გამოსვლას ვალდეკ როშე.

შეკრებილნი მხურვალე ტაშით მიესალმნენ მის სიტყვებს, ისევე როგორც სხვა ჩვენი საზღვარგარეთელი სტუმრების გამოსვლას.

...ყველა კარიდან ყრილობათა სასახლის დარბაზში შემოდიან პიონერთა რაზმები. პიონერებს აცვიათ საპარადო ფორმა და ახურავთ წითელი ბუდიონოვკები, რითაც ახაიერებენ ერთგულებას უფროს თაობათა რევოლუციური ტრადიციებისადმი. სიხარული მოეფინა სხდომის დარბაზს.

აი, საბჭოთა სახელმწიფოს მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი! ყოველივე საუკეთესო, რაც კი საბჭოთა ხალხს აქვს, ბავშვებს ეკუთვნით. გავა წლები, და ეს ბავშვები, რომლებიც თავიანთი დედებისა და მამებისაგან ჩაიბარებენ დიდი ოქტომბრის ესტაფეტს, ღირსეულად ატარებენ მას კომუნიზმის დროშით.

ბავშვებმა სხდომის პრეზიდიუმს ჩააბარეს პატაკი. წკრიალებს მათი ხმები:

ამხანაგო პარტია — რევოლუციის ბელადო!
გესმის, როგორ ძგერს პიონერთა გული:
პიონერს რაც უნდა საქმე დაავალო,
გჯეროდეს პარტიავ, ჯაბედულად შესრულებს!

ბავშვებმა სხდომის მონაწილეებს მიართვეს ყვავილები და პიონერთა მარშის გრიალში გავიდნენ დარბაზიდან. ისინი მხურვალე ტაშით გააცილეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა შეწყდა 4 ნოემბრის დილამდე. (საქტესი).

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთობის მკაფიო შთამაგონებელი დემონსტრაცია, ჩვენი ქვეყნის ხალხების, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ახალი დადასტურება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში გაისმოდა სხდომის მონაწილეთა და საზღვარგარეთელ სტუმართა მღელვარე გამოსვლები. ისინი გამოხატავდნენ სიხარულსა და სიამაყეს საბჭოთა ხალხის დიადი საგმირო საქმეებისათვის, პროგრესული კაცობრიობის სიყვარულსა და დიდ პატივისცემას ოქტომბრის სამშობლოსადმი.

4 ნოემბერს სასახლის დარბაზში კვლავ შეიკრიბნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ძველი კომუნისტები, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა, ცენტრალური ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულზე.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები და თავმჯდომარის მოადგილეები, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილეები, საზღვარგარეთის დელეგაციათა ხელმძღვანელები.

თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი სიტყვას აძლევს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ნოვოტნის.

სხდომის მონაწილეთა მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია ძმურმა მისალმებამ, რომელიც საბჭოთა ხალხს გადასცა. ანტონინ ნოვოტნიმ თქვა, თუ რა აღტაცებით იხსენებს ჩეხოსლოვაკიელი ხალხი რუსეთის ასეულათასობით მუშისა და გლეხის გმირობას, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინათ ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აღსდგნენ საბრძოლველად განთავისუფლებისათვის და დაგვირგვინეს ეს ბრძოლა გამარჯვებით.

— მთელი მსოფლიოს რევოლუციურმა ძალებმა, — განაცხადა ორატორმა, — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რევოლუციამ განამტკიცა მათი იმედები და რწმენა, რომ შეიძლებოდა მაშინ არსებული საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ჩეხოსლოვაკიაშიც გაჩაღებული სოციალისტური რევოლუცია შესაძლებელი გახდა იმ მხარდაჭერის მეოხებით, რომელიც მათ საბჭოთა კავშირმა გაუწია.

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ მილიონობით საბჭოთა ადამიანმა თავისი გმირობით და სიცოცხლის ფასად თავისუფლება მოუტანა ჩვენი ქვეყნის ხალხებსაც, რომლებსაც ფაშიზმი სრული განადგურებით ემუქრებოდა.

1917 წლის სახელოვანი ოქტომბრის დღეებიდან განვლილი ორმოცდაათი წელი ინტერნაციონალური იდეებისა და პროლეტარული სოლიდარობის სიმტკიცის სერიოზული შემოწმება იყო. საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ პირნათლად ჩააბარა ეს გამოცდა. ჩვენი ყველაზე დიდი ძალა ერთობაა. ხაზგასმით აღნიშნა ანტონინ ნოვოტნიმ, და დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგი წლები აღინიშნება კომუნიზმის ახალი გამარჯვებებით საბჭოთა კავშირში, სოციალიზმის ახალი გამარჯვებებით ქვეყნებში, სადაც დღეს უკვე ხელისუფლება მუშათა კლასის ხელშია, აგრეთვე ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი პროგრესი მტკიცედ იკვლევს გზას.

უზბეკეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციას მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ავანსცენაზე შემოაქვს უზბეკეთის დროშა. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა ტრიბუნიდან თქვა:

— ახლა ჩვენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მკაფიო, ღრმაშინაარსიანი მოხსენების შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებით. ეს არის შთამბეჭდავი დოკუმენტი, რომელიც ეხება ხალხის ყველაზე სანუკვარ გრძნობებსა და აზრებს.

ყველა ჩვენგანს დიდად ახარებს, რომ ჩაგრული ხალხებისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ყველა მებრძოლისათვის შუქურა და იმედი არის საბჭოთა კავშირი — ოქტომბრის სამშობლო, ლენინის სამშობლო, მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელშიც სოციალიზმმა გაიმარჯვა. მის უკიდეგანო სივრცეებში მოხდა ძირეული ცვლილებანი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების — ცარიზმის კოლონიების მაგალითით.

უზბეკისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახლში ბედნიერებამ დაისადგურა დიდი ოქტომბრის გარიჟრაჟთან ერთად. და დღეს მშობლიური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების დიდი მადლიერების ნიშნად უზბეკეთის ხალხებს სამშობლოს საზეიმო „დასტარხანზე" მოაქვთ ყველაზე ძვირფასი, რაც მათ აქვთ, — თავიანთი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, სურნელოვანი ყვავილები, სამხრეთის მზის სხივების სითბო და ცისკრის სიხარული, ყველაზე ნაზი სიმღერა და ნათელი ღიმილი, უსაზღვრო სიყვარულის მგზნებარება და თავიანთი გული.

ორატორმა შემდეგ შეეხო რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს. უზბეკეთის მუშათა კლასმა ვადამდე შეასრულა სამრეწველო წარმოების ათი თვის პროგრამა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა საიუბილეო წელს გამოუშვეს იმდენი პროდუქცია, რამდენიც ჯერ კიდევ არასოდეს არ გამოუშვიათ.

ლენინური პარტია ჩვენი მესაჭე, ჩვენი ბრძენი ბელადი, ჩვენი გამჭრიახი ხუროთმოძღვარია. პარტია საბჭოთა ხალხის პატიოსნება, მისი სინდისი, მისი გულია. პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. პარტიის სიტყვა ხალხის სიტყვაა. პარტიის საქმე ხალხის საქმეა. პარტია და საბჭოთა ხალხი ერთიანი არიან, და ეს ერთობა ურღვევია!

ბედნიერება, მშვიდობა და ახალი დიდი წარმატებანი უსურვა უნგრელი ხალხის სახელით საბჭოთა ხალხს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა.

— ჩვენს ხალხს, — თქვა მან, — სსრ კავშირი მიაჩნია თავის ჭეშმარიტ მეგობრად და დიად მოკავშირედ. უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა იშვა და განმტკიცდა ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილთა ერთობლივ ბრძოლაში სოციალიზმისათვის. მას საფუძვლად უდევს ჩვენი იდეების, ინტერესების, მიზნების იგივეობა და ეს მეგობრობა მარად იცოცხლებს.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს კომუნისტთა საპატიო ისტორიულ მისიაზე, რომელიც იმით გამოიხატება, რომ იყვნენ ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის, მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლის სათავეში, რომ ეს ბრძოლა აწარმოონ მთელ პროგრესულ ძალებთან მჭიდრო ერთობით. ეს ამოცანა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირი ღირსეულად კვალავდა გზას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში და მუდამ სანიმუშოდ ასრულებდა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას. იგი დღესაც პირველი უწევს ყველაზე მეტ დახმარებას არა მარტო სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, არამედ აგრეთვე მთელ პროგრესულ ძალებს, ყველა ხალხს, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან. ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე საბჭოთა დროშა, დაასკვნის იანოშ კადარი, ფრიალებს უფრო მაღლა, ვიდრე ოდესმე, და მთელ კაცობრიობას უჩვენებს უკეთესი მომავლის გზას.

— საბჭოთა ქვეყნის კომუნისტთა და ყველა მშრომელის ამ წარმომადგენლობით ფორუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ბრეჟნევის უაღრესად შინაარსიან მოხსენებაში, — ამბობს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, — მკაფიო, ღრმა მეცნიერული გამოხატულება ჰპოვა იმ ტიტანური ბრძოლის შედეგებმა, რომელსაც ვაწარმოებდით ლენინური იდეების გამარჯვებისათვის.

დიდ ხანს ეძებდა გზებს ჩვენი ხალხი საუკუნეთა წყვდიადში, მძიმე გაჭირვებასა და უუფლებობას განიცდიდა, აცხადებს შემდეგ ორატორი. მაგრამ ყაზახთა ძველ მიწაწყალსაც ეღირსა ბედნიერება. ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ყაზახები დაადგნენ გიგანტურ სოციალურ ცვლილებათა გზას და, გვერდი აუარეს რა კაპიტალისტური განვითარების მტანჯველ სტადიას, მოახდინეს ნახტომი ჩაგვრის შავბნელი სამყაროდან თავისუფლების, სინათლისა და შემოქმედების სამყაროში. სწორედ ისე, როგორც ტიან-შანის მაღალი მწვერვალებიდან მოჩანს უკიდეგანო სივრცეები, ისე საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის მწვერვალიდან ამჟამად ჩვენს თვალწინ იშლება სოციალისტური ყაზახეთი. იქ, სადაც ოდესღაც ობლად ჩანდა მომთაბარეთა ალაჩუები, აღიმართა ინდუსტრიული გიგანტების კორპუსები. სადაც წინათ ქარი არხევდა ჭაღარა ვაციწვერას, დღეს ათობით მილიონ ჰექტარზე გაშლილია ყანები. სადაც წინათ უდაბნო ველს სერავდა ხოლმე ვიწრო საქარავნო ბილიკები, ახლა გაყვანილია ფოლადის მაგისტრალები, აშენდა ახალი ქალაქები, აკაშკაშდა მძლავრ ელექტროსადგურთა ნათურები.

ყაზახ ხალხს შეგნებული აქვს, რომ მთელ მონაპოვარს უნდა უმადლოდეს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელსაც მთელი ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში განუხრელად ახორციელებდა ჩვენი კომუნისტური პარტია. თავისუფლებასა და ბედნიერებას ყაზახები უნდა უმადლოდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის მტკიცე, ურღვევ მეგობრობასა და ძმურ დახმარებას.

— განვლილმა ნახევარმა საუკუნემ უდაოდ დაამტკიცა, — ამბობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი, — რომ მსოფლიო ისტორიაში არ არის სხვა პარტია, სხვა ხალხი, რომლებსაც ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, რამდენიც გააკეთეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა.

„მივბაძოთ ჩვენი რუსი ძმების მაგალითს!"—ასეთი იყო ვლადაის ჯარისკაცთა აჯანყების ლოზუნგი 1918 წლის შემოდგომაზე. ამ ლოზუნგით გაიშალა ბულგარეთის მიწაწყალზე ანტიფაშისტური სახალხო მოძრაობა 1923 წლის სექტემბერში. ამ სანუკვარი ლოზუნგის შესრულებით 1944 წლის 9 სექტემბერმა დააგვირგვინა პარტიისა და ხალხის მრავალი წლის ბრძოლა ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობა, განაგრძობს ორატორი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირება, კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთობა მიაჩნია ჩვენს პარტიას თანამედროვეობის იმ დიად ძალად, რომელსაც შეუძლია ალაგმოს იმპერიალიზმი და უზრუნველყოს მსოფლიოს განახლების პროცესის შემდგომი ძლევამოსილი მსვლელობა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია გადაჭრით გმობს მაო ძე-დუნის ჯგუფის თვითმპყრობელურ და ავანტიურისტულ კურსს, რომელიც სულ უფრო აშკარად გამოდის მსოფლიო პროლეტარიატის ძირეული ინტერესების წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვრებს. ორატორმა მხარი დაუჭირა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევას.

დარბაზის ტაშის გრიალში ტოდორ ჟივკოვი დასასრულ ამბობს:

— ჩვენ ბედნიერი ვართ და ვამაყობთ, რომ ვცხოვრობთ და ვიბრძვით ახალი სამყაროს აშენებისათვის, კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის თქვენს მხარდამხარ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო და ძმებო!

სიტყვა ეძლევა საბჭოთა საქართველოს. დღეს, — განაცხადა სხდომის ტრიბუნიდან რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ, — ყველას განსაკუთრებით მხიარული, განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება გვაქვს. სიმბოლურია, რომ ამ დაუვიწყარ დღეებში, კრემლის ყრილობათა სასახლის ამ დიდებულ დარბაზში ზედიზედ აღიმართა მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. ეს საზეიმო ცერემონია კვლავ მკაფიოდ ცხადყოფს საბჭოთა ხალხების მონოლითურ ერთობას, ურღვევ მეგობრობასა და ნამდვილ ძმობას. დღეს ვფიცავთ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს მეგობრობა და ძმობა— ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების საფუძველი.

ოქტომბრის ნათელ და სასიხარულო დღესასწაულს, — თქვა შემდეგ ორატორმა, საქართველო მთელი თავისი შემოქმედებითი ძალღონით აღსავსე ეგებება. ყველა ჩვენი წარმატება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულია სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ორმოცდაათი წელი, რომელთა ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი მოცემულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის წლებია.

ეს არის იმ უდიდესი სიძნელეებისა და გაჭირვების წლები, რომლებიც დაძლია საბჭოთა ხალხმა. ეს არის საერთო სახალხო ზეიმის, კომუნისტური იდეალების გამარჯვების წლები, იმ დიად, ისტორიულ გამარჯვებათა წლები, რომლებიც მოიპოვეს კომუნიზმის მშენებლებმა — ადამიანებმა, რომლებმაც გამოიჩინეს უმაგალითო შრომითი გმირობა, უდრეკი მამაცობა და ვაჟკაცობა, საოცარი ნებისყოფა და უდიდესი იდეური რწმენა.

იცოცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენმა საყვარელმა სამშობლომ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, დიდი ოქტომბრის სამშობლომ!

— საბჭოთა კავშირის არსებობის ორმოცდაათმა წელმა, — თქვა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ, — თვალსაჩინოდ ცხადყოს სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე, ცხადყოს, თუ რა უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს მუშათა კლასს, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყნის ცხოვრებას, თუ რა უდიდესი ენერგია შეიძლება წარმოშვას და წარმართოს სოციალისტურმა საზოგადოებამ, და რა მაღალ დონეზე შეუძლია აიყვანოს ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება.

სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი ჩაგრული და ქედმოხრილი როდია. იგი თავისუფალია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შიშისა და პირობითობისაგან. საბჭოთა ადამიანი მომავლის ადამიანის პირველსახეა, იმ მომავლისა, როცა ტექნიკური და მეცნიერული რევოლუცია, ბიოლოგიის, ქიმიის, კიბერნეტიკის, ავტომატიკისა და ელექტრონიკის სწრაფი განვითარება დასახავენ ისეთ პერსპექტივებს, რომლებიც დღეს შეგვიძლია მხოლოდ ბუნდოვნად წარმოვიდგინოთ.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ხალხებმა, თქვა შემდეგ ორატორმა, იციან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მათი მტერია, ხოლო საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები — მათი მეგობრები. ამით ვლინდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპებისადმი საბჭოთა კავშირის მუდმივი ერთგულების აღიარება.

ყველა მუშათა და კომუნისტური პარტიის ერთობა, მთელი პროგრესული და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობა ახლა იმის პირობაა, რომ შევავიწროვოთ იმპერიალიზმი ყველა ქვეყანაში და ყველა მიმართულებით, დავამარცხოთ იგი, ხაზი გაუსვა ლუიჯი ლონგომ.

მან გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინის საქმის ერთგულ განმგრძობს, საბჭოთა კავშირს.

— დიდი პატივია იყო ამ სხდომის მონაწილე, დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა იყო შენი ხალხის წარმომადგენელი, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა. — როცა ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ვისმენდით, ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმის სიდიადეში, რაც საბჭოთა ხალხმა მოახდინა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში.

გაივლის წლები და საუკუნეები, ჩვენ შეგვცვლიან შვილები და შვილიშვილთა შვილები, მათ კი შეცვლიან სხვები, შორეული თაობები, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის დღე ყოველთვის იქნება ყველაზე ნათელი, ყველაზე ძვირფასი დღესასწაული. ლენინის გენიით გაცისკროვნებული ოქტომბრის იდეები კაცობრიობის მომავლის იდეებია, ისინი უკვდავია, როგორც უკვდავია ადამიანის დიდი ხნის ოცნება თავისუფლებასა და ბედნიერებაზე.

აზერბაიჯანის მშრომელები ამაყობენ, რომ ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ მეექვსე დღეს პროლეტარულმა ბაქომ აღმართა საბჭოთა ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წითელი დროშა. 26 ბაქოელმა კომისარმა, რომელთა ხსოვნა წმიდათა წმიდაა, თავისი გმირული ცხოვრებითა და სიკვდილით უკვდავი ძეგლი დაუდგა ჩვენს ხალხთა ძმობას, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

ჩვენ ვამაყობთ დიადი განმათავისუფლებელი მისიით, რომელიც საბჭოთა ხალხს დააკისრა თვით ისტორიამ, თქვა დასასრულ ორატორმა, და საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენთვის არ არის უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე იყო დიდი პროლეტარული მხედართმთავრის — ლენინის არმიის ღირსეული მებრძოლი.

— ოქტომბრის სულისკვეთება და ლენინის გენიალური მოძღვრება მილიონობით ჩაგრულისა და დამონებულის გზის მანათობელი ვარსკვლავი იყო და არის ადამიანის უფლებებისათვის, სამართლიანი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, — ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ იოსიპ ბროზ ტიტომ.

მან თქვა, რომ მთელი პროგრესული სამყარო ამაყობს საბჭოთა კავშირში მიღწეული წარმატებებით. ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა უდიდეს შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა ადამიანებმა სოციალისტური განვითარების მეოხებით. შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში საბჭოთა კავშირი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ყველაზე განვითარებული სამრეწველო ქვეყანა, რომლის დიდებული მიღწევები საწარმოო ძალების განვითარებაში, მრეწველობაში, მეცნიერებასა და კულტურაში გადამწყვეტ წვლილს მატებს თანამედროვე კაცობრიობის, პროგრესის საქმეს. ამას მოწმობენ მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები, რომლებიც უკვე ახლა საშუალებას გვაძლევენ სულ უფრო ღრმად ჩავწვდეთ სამყაროს. საბჭოთა მეცნიერების გენიამ გზა გაგვიკვალა პლანეტა ვენერასაკენაც, რითაც აღტაცებულია და ამაყობს მთელი მსოფლიო.

დიდი ოქტომბრის ექო, განაგრძო ორატორმა, დღესაც გაისმის მთელ მსოფლიოში, და გამოხატულებას პოულობს მძლავრ ანტიკოლონიურ რევოლუციებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ აღმავლობასა და ანტიიმპერიალისტურ პროგრესულ მოძრაობებში. იმპერიალიზმი ცდილობს შეაჩეროს ეს რევოლუციური ტალღა, მაგრამ იგი კვლავ დამარცხდება, როგორც დამარცხდა, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას ცდილობდა. დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკის აგრესია ვიეტნამში, ისევე როგორც ისრაელისა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, დამარცხებით დამთავრდება!

დასასრულ იოსიპ ბროზ ტიტომ საბჭოთა ადამიანებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ყოველივე საუკეთესო უსურვა სოციალისტური იუგოსლავიის მშრომელთა სახელით.

— რუმინელ ხალხს სულითა და გულით ახარებს საბჭოთა ადამიანების დიადი მიღწევები კომუნიზმის მშენებლობაში, — თქვა თავის მისასალმებელ სიტყვაში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ. — ეს მიღწევები მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დაცვის კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლის, მთელ მსოფლიოში სოციალიზმის იდეების გავლენის ზრდის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ამ საზეიმო ვითარებაში რუმინელი და საბჭოთა კომუნისტების, ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხების მეგობრობის და ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობა. მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ კვლავაც განუხრელად განვითარდება რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის, რუმინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ურთიერთობა.

ნ. ჩაუშესკუმ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო მოვლენები, უწინარეს ყოვლისა აგრესიული ომი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეწევიან ვიეტნამში, გვიჩვენებენ, რომ იმპერიალიზმი, რეაქციული ძალები ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ საზოგადოების წინსვლას, ხელყოფენ ხალხთა მონაპოვრებს, აწყობენ შეთქმულებებს, სახელმწიფო გადატრიალებებს, შეიარაღებულ ინტერვენციებს. კაცობრიობის საარსებო ინტერესები მოითხოვენ გავაძლიეროთ მოქმედება, იმისათვის, რომ ამერიკამ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, აღიკვეთოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში და ვიეტნამელ ხალხს უფლება მიეცეს თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ქვეყნის ბედი. საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში იმ გზით, რომ ისრაელმა ჯარები გაიყვანოს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

ახლა აღნიშნა ნ. ჩაუშესკუმ, განსაკუთრებით საჭიროა სოციალისტური ქვეყნების ერთობა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეკავშირების განმტკიცება, მუშათა კლასის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების ინტერნაციონალური სოლიდარობა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს მღელვარებით წარმოთქვამს ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სნეჩკუსი, რომელიც სხდომაზე გამოვიდა. ლენინური ეროვნული პოლიტიკა, ამბობს იგი, უზრუნველყოფს ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობას საერთო მიზნის მიღწევისათვის, განამტკიცებს ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობას. ეს არის ოქტომბრის რევოლუციის, კომუნისტური პარტიის, მისი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უდიდესი მონაპოვარი. ეს არის ჩვენი ძალისა და უძლეველობის დაუშრეტელი წყარო. მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უჭკნობი იდეებით აღზრდილი ლიტვის კომუნისტები

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# ოქტომბრის დროშა ფრიალებს მსოფლიოში!

(დასასრული).

ლა მშრომელები მუდამ წმიდათა წმიდად იცავდნენ და კვლავაც დაიცავენ, ყოველნაირად განამტკიცებენ ჩვენი ხალხების მეგობრობას. და ვერავითარი მტრები და მათი დამქაშები ვერ გადაახვევინებენ ამ გზიდან ლიტველ ხალხს!

დღეს ჩვენ ლიტველი ხალხის სახელით დიდ მადლობას ვუძღვნით ყველა მოძმე ხალხებს, რომლებიც დაეხმარნენ მას საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, დაეხმარნენ გაეძლო დიდი სამამულო ომის მძიმე წლებისათვის, მოეშუშებინა გერმანელ ფაშისტთა შემოსევით მიყენებული ჭრილობები, აეშენებინა სოციალიზმი. განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით დიდ რუს ხალხს, რომელიც პირველი დაადგა ძველი სამყაროს გარდაქმნის გზას, თავისი მხრებით ზიდა ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს დაცვის ძირითადი ტვირთი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი ხუთწლიანი გეგმის პირველი წლების ძირითად დავალებებს, პირნათლად შეასრულეს საიუბილეო წელს ნაკისრი ვალდებულებანი. ისინი კვლავაც თავდადებით იშრომებენ, შეიტანენ ღირსეულ წვლილს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, კომუნისტური საზოგადოების აშენებაში!

დარბაზში მქუხარე ტაშით ხვდება ტრიბუნაზე მებრძოლი ვიეტნამის წარმომადგენელს, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის დანგ ჩან თხის გამოჩენას.

— დამოუკიდებლობისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში, — ამბობს იგი, — სამხრეთვიეტნამელ ხალხს აღაფრთოვანებს ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლების, წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაგალითები.

აი უკვე ცამეტი წელია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ფეხქვეშ თელავენ ჟენევის შეთანხმებებს. ამერიკელები და მათი მარიონეტები უამრავ დანაშაულს სჩადიან ჩვენი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ მათი მხეცობა კიდევ უფრო აღვივებს სიძულვილს მათდამი და ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა. საკუთარი მძიმე გამოცდილებით სამხრეთ-ვიეტნამელი ხალხი რწმუნდება, რომ საჭიროა ბრძოლა, სანამ მის მიწა-წყალზე ერთი ამერიკელი დამპყრობი მაინც დარჩება.

საბჭოთა ხალხი, თქვა შემდეგ ორატორმა, მთელი სულითა და გულით მხარს უჭერს ჩვენს სამართლიან ბრძოლას. გუშინ ამ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა, რომ სანამ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები არ შეწყვეტენ დანაშაულებრივ ავანტიურას, სანამ არ გაეცლებიან ვიეტნამს, საბჭოთა კავშირი განაგრძობს ჩვენს დახმარებას. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და სამხრეთვიეტნამელი ხალხის სახელით ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს უდიდესი და ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ძმური დახმარების ღირსნი ვიყოთ, ამბობს დასასრულ დანგ ჩან თხი, რომ ღირსეულად აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, იმისათვის, რომ ჩვენი ულრმესი მადლობა ვუძღვნათ მსოფლიო რევოლუციის გენიალურ ბელადს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, სამხრეთვიეტნამელი ხალხი ფიცს დებს ბოლომდე შეასრულოს თავისი ეროვნული და ინტერნაციონალური მოვალეობა: გაათავისუფლოს სამხრეთი ვიეტნამი, დაიცვას ჩრდილოეთი ვიეტნამი, გააერთიანოს სამშობლო, შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის საქმეში.

და კვლავ ტრიბუნების წინ გამოჩნდა მოკავშირე რესპუბლიკის დროშები. სიტყვა ეძლევა მოლდავეთს.

— ჩვენ, ყველამ დიდი აღფრთოვანებით მოვისმინეთ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საბჭოთა ხალხის ბრძოლის ნახევარსაუკუნოვანი გზისა და გამარჯვების შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების შესახებ, თქვა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. ბოდიულმა. — ჩვენ თითქოს კვლავ განვიცადეთ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის მიერ განვლილი დიდი გზა, ვიგრძენით ოქტომბრის სამშობლოსადმი ჩვენი უცხოელი ძმების სიყვარულის მძლავრი ძალა. განა შეიძლება ქედი არ მოვიხაროთ პირველაღმომჩენი ხალხის წინაშე, რომელიც თავისი გმირული ბრძოლით ახორციელებს კაცობრიობის ყველაზე ნათელ ოცნებებს! განა შეიძლება დავივიწყოთ, რა უზარმაზარი მსხვერპლი მიიტანა კაცობრიობის საკურთხეველზე მან, როცა გაანადგურა ფაშიზმი და დაიცვა ცივილიზაცია! განა შეიძლება ღირსეულად არ შევაფასოთ ლენინური პარტიის, საბჭოთა ადამიანების დამსახურება დამონებული ხალხების დაცვაში, მათი სამართლიანი ბრძოლისადმი დახმარებაში, სოციალურ და ეროვნულ აღორძინებაში!

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი ხალხი იხსნა საუკუნოვანი ჩამორჩენილობისა და უუფლებობისაგან, შეანარჩუნებინა ეროვნულობა, უზრუნველყო მისი თანაბარი განვითარება მიზნებისა და მისწრაფებების ერთობით შედუღაბებულ საბჭოთა ხალხთა მძლავრ თანამეგობრობაში.

მოლდაველი ხალხი დიდად ბედნიერია, რომ ცხოვრობს და შრომობს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოში!

ბედნიერებით აღსავსე და შესანიშნავი პერსპექტივებით ფრთაშესხმული მოლდაველი ხალხი დღეს ამბობს: „გმადლობთ, ბრძენო პარტიავ, გმადლობთ, მოძმე ხალხებო!"

დარბაზში გაისმის ესპანეთის გმირი შვილის — სახელგანთქმული პასიონარიას მგზნებარე სიტყვა. ესპანეთის კომუნისტური პარტიის სახელით, ესპანელი მშრომელების სახელით ლაპარაკობს ახლა ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური. იგი გულითადად მიესალმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა ხალხს — ქვეყანად სოციალიზმის პიონერს.

— ამ აღმაფრთოვანებელ სხდომაზე, — ამბობს იგი, — ჩვენ თითქოს გვესმის ლენინის სიტყვები, რომლებიც ხალხს ბრძოლისათვის მოუწოდებდა! ჩვენ, ესპანელ კომუნისტებს, ღრმად გვწამს მუშათა კლასის, მასების. სწორედ ამის გამო ჩვენი კომუნისტური პარტია უსასტიკესი დევნის პირობებშიც კი ესპანეთის უდიდესი და ყველაზე ბრძოლისუნარიანი, ორგანიზებული პოლიტიკური ძალაა. პირობას გაძლევთ, ამხანაგებო, პირობას ვაძლევთ მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ასე ახლობელია ჩვენთვის და საუკუნოდ დაკავშირებულია ჩვენს ისტორიასთან ერთად დაღვრილი სისხლითა და გმირობით, განვაგრძოთ ბრძოლა გამარჯვებამდე!

1917 წლის ოქტომბრის დღეებმა, რომლებმაც მთელი სამყარო შეძრეს, დაგვისახა რევოლუციური ბრძოლის გზა. ჩვენ ვცხოვრობდით და ვიბრძოდით, მუდამ მტკიცედ გვწამდა სოციალიზმისა, საბჭოთა კავშირისა. დღეს როგორც გუშინ, მთელი ჩვენი რევოლუციური რწმენით ვამბობთ: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლუციის შემოქმედს!"

სხდომის მონაწილენი მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციით, ფეხზე ამდგარნი ხვდებოდნენ საზღვარგარეთელი სტუმრების გამოჩენას ტრიბუნაზე. მათი სიტყვების დროს ხშირად გაისმოდა ტაში...

...გაშლილი საბრძოლო დროშებით დარბაზში შემოდიან მეომრები. სხდომის მონაწილენი მარშის ტაქტში ტაშს უკრავენ მერაკეტეებსა და მფრინავებს, მოტომსროლელებსა და ტანკისტებს, მესაზღვრეებსა და მეზღვაურებს. ისინი — წარმოსადეგნი, ძლიერნი — მწყობრი ნაბიჯით დგებიან დარბაზის ყველა გასასვლელში.

გაისმის ფანფარების ხმა: „ისმინეთ ყველამ!" ტრიბუნაზე ადის კანტემირის გვარდიის სატანკო დივიზიის მეთაური სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ნ. ი. ლაპიგინი.

— რევოლუციის წითელ დროშასთან საბრძოლო პოსტზე ნახევარი საუკუნეა უცვლელად და ფხიზლად დგანან ჩვენი შეიარაღებული ძალები. ლენინის, კომუნისტთა პარტიის მიერ შექმნილი ეს ძალები განასახიერებენ მშრომელი ხალხის საუკეთესო თვისებებს და მათ ხალხთან ერთად გაიარეს ჭეშმარიტად გმირული გზა.

პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით არის აღჭურვილი საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, — ხაზგასმით აღნიშნა გენერალმა. — ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების საფუძველს დღეს შეადგენენ ატომური იარაღი, მძლავრი რაკეტები და ატომური წყალქვეშა ნავები, ზებგერული თვითმფრინავები და უახლესი ტანკები. ყოველივე ამისათვის სულითა და გულით ჯარისკაცულ „მადლობას" გიძღვნით შენ, ჩვენო ხალხო, შენ, ჩვენო მშობლიურო პარტიავ, შენ, ჩვენო საბჭოთა მთავრობავ!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიათა მეომრებთან ერთად ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე, მუდამ მზად არიან ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

კვლავ გრიალებს მუსიკა, კვლავ გაისმის ერთსულოვანი ტაში, როცა მეომრები პატაკს აბარებენ ხალხსა და პარტიას და გადიან დარბაზიდან.

შესვენების შემდეგ დაიწყო საღამოს სხდომა. ტრიბუნებთანაა საბჭოთა ლატვიის დროშები.

— ორმოცდაათი წლის წინათ ლატვიელმა წითელმა მსროლელებმა, — თქვა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ე. ვოსმა, — დაიწყეს ლაშქრობა საბჭოების ხელისუფლებისათვის. მას შემდეგ ვერც ბურჟუაზიული ბატონობის წლებმა, ვერც ფაშისტური ოკუპაციის შავბნელმა დღეებმა ვერ ჩაუხშეს ლატვიელ ხალხს რწმენა, რომ გაიმარჯვებდა წითელი დროშა, რომელიც აღიმართა 1917 წელს. 1940 წელს ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა იყო კანონზომიერი აქტი, რომელმაც დააგვირგვინა ისტორიული განვითარების მთელი წინა პერიოდი.

უკვე 25 წელზე მეტია ლატვიელი ხალხი თვითონ განაგებს თავის ბედს, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალ ცხოვრებას. საბჭოთა ლატვიის სამრეწველო წარმოება 1940 წელთან შედარებით ოცჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. რესპუბლიკის მრეწველობა ყოველ სამ კვირაში აწარმოებს მეტ პროდუქციას, ვიდრე ბურჟუაზიულ ლატვიაში უშვებდნენ მთელი წლის მანძილზე. უმაგალითოდ მოკლე ვადაში განვვლეთ გზა კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე. ჩამოყალიბდა ექსპლოატაციის ბორკილებისაგან თავისუფალი ახალი ადამიანი, თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი.

ახალი ცხოვრების მშენებლობაში ლატვიელი ხალხის შესანიშნავი წარმატებანი ნათლად მოწმობენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, ეს არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების შედეგი.

შეკრებილთ მიესალმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუმჟაგიინ ცედენბალი.

— საბჭოთა ხალხის უდიდესი თაოსნობა და უმაგალითო გმირობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში, მის ისტორიულ მონაპოვართა დაცვასა და გამრავლებაში, — აღნიშნა მან, — ცხოველმყოფელი, მკაფიო შთამაგონებელი მაგალითია მსოფლიოს მშრომელი ადამიანებისათვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ოქტომბრის პირმშო, მძლავრი საბჭოთა ქვეყანა საიმედო ბურჯი, ერთგული მეგობარი და მოკავშირეა მთელი ძალებისა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

ჩვენს ურთიერთობაში საბჭოთა კავშირთან არ ყოფილა და არასოდეს არ იქნება მოღრუბლული დღეები, მუდამ გაგვინათებს გზას მეგობრობის, ძმობისა და ბედნიერების მზე! ვერავითარი შავბნელი ძალა ვერ მიაყენებს ჩრდილს დიდი ოქტომბრის შუქით გასხივოსნებულ ჩვენი ხალხების ლენინურ მეგობრობას. ჩვენს ხალხებს აქვთ საერთო მიზნები და პერსპექტივები, საერთო ინტერესები და ბედი: მონღოლ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცოს მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა — ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბედნიერებისა და წარმატების დაუშრეტელი წყარო, ქვეყნისა, რომელიც ამთავრებს სოციალისტურ მშენებლობას.

ყირგიზეთის, წარსულში რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი განაპირა რაიონის, მაგალითით ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. უსუბალიევმა თავის გამოსვლაში ცხადყო, თუ რა გრანდიოზულია დიდი ოქტომბრით გამოწვეული გარდაქმნები. ორატორმა დახატა რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული აყვავების მკაფიო სურათი.

დღევანდელი ყირგიზეთი — ეს არის თანამედროვე ინდუსტრიის რესპუბლიკა, რომლის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ათობით ქვეყანაში. ეს არის მაღალმექანიზებული და მაღალპროდუქციული სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რესპუბლიკა. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონით ყირგიზეთმა გაუსწრო არა მარტო აღმოსავლეთის საზღვარგარეთულ ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანასაც. რესპუბლიკაში აღიზარდნენ ახალი ადამიანები — თავიანთი სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები, ნამდვილი ინტერნაციონალისტები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

ყოველივე ამას, თქვა ორატორმა, უნდა ვუმადლოდეთ დიდ ოქტომბერს, გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს ლენინს, სახელოვან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას.

ყირგიზი ხალხი აღსავსეა დიდი რუსი ხალხისადმი გულითადი მადლობის გრძნობით. ჩვენ ვეუბნებით მას და ყველა მოძმე საბჭოთა ხალხებს „ჩონ-რახმატ!" — დიდი გულითადი მადლობა მეგობრობისა და მხარდაჭერისათვის, გულუხვი და უანგარო დახმარებისათვის!

ყირგიზეთის მშრომელები, თქვა დასასრულ ორატორმა, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ დღესასწაულს ეგებებიან სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი. ისინი ოქტომბრის 50 წლისთავს ხვდებიან კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებით.

სიტყვა ეძლევა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ცოი ენ გენს:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი პირველი კვალავდა სოციალიზმის გზას. საბჭოთა ხალხის უჯკნობი გმირობა სამუდამოდ ჩაიწერება კაცობრიობის განთავისუფლების ისტორიაში. ნება მიბოძეთ, დიდი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა არმიასა და საბჭოთა ხალხს, რომლებმაც გაათავისუფლეს კორეელი ხალხი იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან და დაუსახეს რევოლუციის წარმატებით განხორციელების გზა.

ამერიკელი იმპერიალისტები, თქვა შემდეგ ორატორმა, მსოფლიოს ხალხების მიერ დაგმობის მიუხედავად, აძლიერებენ ვიეტნამის აგრესიული ომის ესკალაციას და ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომი კორეაში. ამერიკელ იმპერიალისტთა იმ ხრიკების შედეგად, რომელთა მიზანია ახალი ომის გაჩაღება, ახლა კორეაში შეიქმნა ისეთი მწვავე ვითარება, როგორც დაზავების დადების შემდეგ აღარ ყოფილა. ეს დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას აზიასა და მთელ მსოფლიოში.

კორეელი ხალხი, ხაზი გაუსვა ცოი ენ გენმა, აუცილებლად განახორციელებს სამშობლოს გაერთიანებისა და მთელ კორეაში რევოლუციის გამარჯვების საქმეს.

კორეელი ხალხი საბჭოთა ხალხს უსურვებს ახალ წარმატებებს ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, კომუნიზმის დიდი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ცოი ენ გენმა გამარჯვება უსურვა კორეისა და საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობასა და შეკავშირებას.

ტრიბუნაზეა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. რ. რასულოვი.

—წარმოუდგენელი სიძნელენი ხვდა წილად მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების მშენებლებს, — თქვა მან. — და თუ საბჭოთა ხალხი, ჩვენი პარტია გამარჯვებულნი გამოვიდნენ ყველა განსაცდელიდან, უწინარეს ყოვლისა იმის შედეგად, რომ მათ მაღლა ეპყრათ დიდი ლენინის დროშა.

საბჭოეთის ნახევარსაუკუნოვანი გზის დიდებული შედეგები, რომლებიც მოცემულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეტად შინაარსიან, გულში ჩამწვდომ საინტერესო მოხსენებაში, გაისმის როგორც პარტიისა და ხალხის საზეიმო პატაკი დიადი ოქტომბრისადმი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინისადმი.

აღნიშნავს რა სახელოვან იუბილეს, საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს მოპოვებული წარმატებებით. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის —დიდი და პატარა ხალხების, მათ შორის ტაჯიკი ხალხის ცხოვრებაშიც მოხდა უდიდესი ცვლილებანი. ტაჯიკეთი დღეს აყვავებული, დიდადგანვითარებული სოციალისტური რესპუბლიკაა. ტაჯიკმა ხალხმა, რომელიც თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა, მოკლე ვადაში პირდაპირ სასწაული მოახდინა, უდაბნოები გარდაიქმნა აყვავებულ ოაზისებად.

თვალსაჩინოა ჩვენი წარმატებანი, მაგრამ პარტიამ გვასწავლა არ დავჯერდეთ მიღწეულს. წინ გველის დიდი საქმეები, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები! — თქვა დასასრულ ორატორმა.

ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი სხდომის ტრიბუნიდან გულთბილად, ამხანაგურად მიესალმა საბჭოთა ხალხს. შემდეგ მან თქვა:

— ოქტომბრის რევოლუციამ ბიძგი მისცა ფინელი მშრომელების რევოლუციური ორგანიზაციის — კომუნისტური პარტიის შექმნას. მუშათა კლასის, მთელი ფინელი ხალხის ინტერესებისა და უფლებებისათვის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისათვის ბრძოლაში, ჩვენი პარტია ფინეთის საზოგადოებრივ ცხოვრების მნიშვნელოვან ძალად გადაიქცა.

ფინეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობა და მისი წარმატებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული თქვენს მიღწევებთან, ყველა მოძმე პარტიის საქმიანობასთან. მიგვაჩნია, რომ კომუნისტური პარტიების მოვალეობაა განამტკიცონ თანამშრომლობა ყველა საკითხში, რომლებიც მათთვის საერთოა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა დავიწყოთ წინასწარი მომზადება მოძმე პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირის მოსაწვევად.

დასასრულ ვილე პესიმ წაიკითხა ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. „საბჭოთა სახელმწიფოს ღირსშესანიშნავი თარიღი, — ნათქვამია, კერძოდ, მიმართვაში, —ამასთანავე დიდი ინტერნაციონალური ზეიმის დღეა. მსოფლიო ისტორიაში არ არის სხვა ისეთი მოვლენა, რომელსაც, ოქტომბრის რევოლუციის მსგავსად, ესოდენ თვალსაჩინო გავლენა მოეხდინოს კაცობრიობის ბედზე".

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმება საბჭოთა სომხეთის დელეგაცია.

— როდესაც ამ საზეიმო დღეებში გონების თვალს ვავლებთ განვლილ გზას, — ჩვენს წინაშე წარმოდგება ოქტომბრის ლეგენდარული ეპოპეა და ჩვენი მასწავლებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის უკვდავი სახე, — თქვა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ე. კოჩინიანმა. — ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა და დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადე და სიბრძნე, რომელმაც უზრუნველყო მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი ძალების ისტორიაში არნახული აყვავება.

საბჭოთა სომხეთი დიდი ოქტომბრის ღვიძლი შვილია, ოქტომბრის რევოლუციამ სომეხ ხალხს დაუსახა სოციალური და ეროვნული აღორძინების ერა. მოკლე ისტორიულ ვადაში სომხეთი გახდა დიდად განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს მრავალდარგოვანი ინდუსტრია, თანამედროვე სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

დიდი ოქტომბრის მზით აღორძინებული სოციალისტური სომხეთი მაგნიტივით იზიდავს ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მსოფლიოში გაფანტულ თავის შვილებს. განვლილ წლებში ორასი ათასზე მეტმა სომეხმა კვლავ პოვა სამშობლო და დღეს თავის შრომას, ცოდნას, ნიჭს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს ახმარს.

მთელ თავის წარმატებებს, აყვავებას სომეხი ხალხი ლენინის დიად პარტიას უნდა უმადლოდეს. და ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს დღეებში სომხეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი კვლავ ადასტურებენ უსაზღვრო ერთგულებას ლენინიზმის იდეებისადმი, ოქტომბრის იდეებისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი, თავიანთ ერთგულებას ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობისადმი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისადმი!

— 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური ამბებით აღინიშნა სოციალური პროგრესის ძლევამოსილი ძალის—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაბადება, — განაცხადა თავის მისასალმებელ გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა. ამ რევოლუციურმა ძალამ სრულიად ახალი კალაპოტით წარმართა კაცობრიობის მთელი ცხოვრება.

ახლა კაცობრიობის პროგრესის გზაზე მთავარი დაბრკოლება, განაგრძო ორატორმა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის საზარელი ესკალაცია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ცეცხლმოდებული ნაპალმი, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები იყენებენ ვიეტნამში, სიმბოლურად გამოხატავს საფრთხეს, რომელიც მთელი კაცობრიობის არსებობას ემუქრება.

ამერიკის იმპერიალიზმის დამცველები ცდილობენ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს დაუმალონ, თუ რაოდენ დიდ წინააღმდეგობას აწყდება მათი აგრესიული პოლიტიკა თვით შეერთებულ შტატებში. ამ ომისადმი ჩვენი ხალხის დამოკიდებულების ახალი დადასტურება იყო ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელიც ამას წინათ გაიმართა პენტაგონისა და თეთრი სახლის წინ. დემონსტრაციაში 200 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

ჩვენი ხალხის განწყობილებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ათასობით ადამიანი მონაწილეობდა ამ ზაფხულს „სიღარიბის აჯანყებებში", რომლებმაც შეერთებული შტატების თითქმის 180 ქალაქის ზანგთა გეტოებში იფეთქა. ჩვენი ხალხის განწყობილებას მოწმობს ასეულ ათასობით გაფიცული მუშა. ჩვენი ხალხის წინააღმდეგობის დადასტურებაა ის, რომ ბევრი ახალგაზრდა ამერიკელი უარს ამბობს არმიაში გაწვევაზე.

ვიეტნამელი ხალხის საქმე უძლეველია, ისევე როგორც მთელი ანტიიმპერიალიზმის საქმე. იგი უძლეველია იმიტომ, რომ ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს, ხაზი გაუსვა გეს ჰოლმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს საბჭოთა კავშირის ყველაზე სამხრეთი რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ძმურად მიულოცა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ოვეზოვმა.

— დიდმა ოქტომბერმა სრულიად ახალი ფურცელი დაიწყო თურქმენი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც სასტიკად იტანჯებოდა ჩაგვრისა და შემზარავი სიღატაკის გამო, — თქვა მან. — უმაგალითოდ შეიცვალა ახლა ეს მხარე. აშენდა და სწრაფად იფურჩქნება სოციალისტური ქალაქები, გაყვანილია არხები, შეიქმნა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ნავთობსარეწები, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები. სამშობლო ყოველწლიურად მილიონობით ტონა თურქმენულ ნავთობს იღებს. შუა აზიის — ცენტრის გიგანტური გაზსადენით თურქმენული გაზი მიდის ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში. დაე იგი ჩვენი მეგობრობის გრძნობით ათბობდეს საყვარელ მოსკოვს და რევოლუციის აკვანს, ლენინგრადს!

სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ თურქმენეთში მეტად იშვიათი იყო ისეთი ადამიანი, რომელსაც ანბანი სცოდნოდეს. ახლა რესპუბლიკაში განხორციელდა საყოველთაო განათლება. ინსტიტუტები და ტექნიკუმები ყოველწლიურად ამზადებენ ათასობით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და ათობით სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში მეცნიერთა დიდი რაზმი წარმატებით წყვეტს უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პრობლემებს.

ამ საზეიმო დღეს, თქვა ორატორმა დასასრულ, ჩვენ პირობას ვდებთ, რომ თურქმენეთის მშრომელები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრს ალი საბრის. მთავარი, რასაც გამოხატავს დღევანდელი შეხვედრა საბჭოთა მიწაზე ისტორიული იუბილეს გამო, განაცხადა მან, — ეს არის პოზიციათა ერთობა ჩვენი ხალხების ბრძოლაში, რომლებიც თავისუფლების, პროგრესისა და სამართლიანი მშვიდობის პრინციპებს იცავენ.

ამჟამინდელ მსოფლიოში იმპერიალიზმი მთელი ანტიხალხური ძალების მთავარი დასაყრდენია, დაბრკოლებაა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესის გზაზე მსოფლიოში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იმპერიალიზმი აშკარად მოქმედებს — სასწორზე დებს თავის ძალას, იყენებს იარაღს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მას სურს გატეხოს ამ ხალხის ნებისყოფა, რომელიც თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავს, მაგრამ ვერასოდეს ვერ შეძლებს ამას!

არაბულ სამყაროში იმპერიალიზმი მოქმედებს ფარულად — ისრაელის ზურგს უკან, სადაც შექმნა აგრესიის ბაზა, რომელსაც ასაზრდოებს და მხარს უჭერს, ამარაგებს ყველა სახეობის იარაღით, იმპერიალიზმს სურს აღადგინოს თავისი ბატონობა ახლო აღმოსავლეთის ხალხებზე.

ჩვენმა ხალხმა, განაგრძობს ორატორი, კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი ეხმარება მას ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ხალხი ყოველთვის მადლიერების გრძნობით იგონებს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მისი ხელმძღვანელობის უცვლელ მეგობრულ პოზიციას ჩვენი რევოლუციური ბრძოლის ყველა ეტაპზე. საბჭოთა კავშირი ყოველთვის გვიწევდა ყოველმხრივ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას რაიმე პირობების წამოუყენებლად.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი, მტრების მთელი ხრიკების მიუხედავად, განუხრელად განაგრძობს სოციალისტურ გარდაქმნებს. და რაც უნდა მძიმე და ხანგრძლივი იყოს მისი გზა, იგი მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, ყველაფერს გაუძლოს.

მებრძოლი მასები არ დასთანხმდებიან მშვიდობას კაპიტულაციის ფასად, განაცხადა დასასრულ ალი საბრიმ. დღეს მათ კიდევ უფრო ღრმად სწამთ, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს თავისუფლება, პროგრესი და სამართლიანობა.

მეთხუთმეტედ მიდიან ტრიბუნასთან დელეგაციები წითელი დროშებით. ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა მისასალმებელ პატაკებს ამთავრებს ესტონეთის სს რესპუბლიკა.

— როცა თვალს ვავლებთ საბჭოთა ხალხის მიერ განვლილ გზას, ვაფასებთ ყოველივეს, რაც შექმნილია მისი შრომით, ვიაზრებთ ჩვენი სამშობლოს შემდგომი განვითარების გრანდიოზულ პერსპექტივებს, ყველაფერს, რაც ასე დამაჯერებლად იყო მოცემული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, — თქვა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გ. კებინმა, — ჩვენი გული კვლავ ივსება სიამაყით კომუნისტური პარტიისადმი, სიყვარულით მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს — დიდი ოქტომბრის პირმშოსადმი.

წინასადღესასწაულო კრებებზე საბჭოთა ესტონეთის მშრომელებმა ჩვენს დელეგაციას დაავალეს, ძვირფასო ამხანაგებო, მხურვალედ მოგილოცოთ დიდი იუბილე, დაგვავალეს გადმოგცეთ უსაზღვრო სიყვარული და მადლობა სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, მშობლიური საბჭოთა მთავრობისადმი ხალხის კეთილდღეობაზე დიდი, დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

ესტონელი ხალხი ამაყობს იმით, რომ იგი იყო ოქტომბრის რევოლუციის უშუალო და აქტიური მონაწილე და ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად 1917 წლის ოქტომბერში ჰპოვა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის საძულველ წყობილებაზე გამარჯვება. პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების მეორე დღეს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ტალინში და შემდეგ მთელ ესტონეთში. მაგრამ ინტერვენტები დაეხმარნენ ესტონეთის ბურჟუაზიას 20 წელზე მეტი ხნით მოეწყვიტათ ჩვენი ხალხი საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებისაგან. 1940 წლის სოციალისტურმა რევოლუციამ აღადგინა საბჭოთა ხელისუფლება ესტონეთში.

სახელოვანი 50 წლისთავის დღეებში, თქვა ი. გ. კებინმა, ესტონელი ხალხი კვლავ აცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამრავლოს ოქტომბრის მონაპოვარნი.

გვინეის დემოკრატიული პარტიის ეროვნული პოლიტბიუროს წევრმა, ფინანსთა და დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრმა საიფულაი დიალომ თავის გამოსვლაში თქვა, რომ რუსეთის პროლეტარიატის დიდი გმირობა სამუდამოდ იქნება სტიმული, შთამაგონებელი მაგალითი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისათვის, იმ ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან დამონებისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, თავისუფლების, ნამდვილი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმის გამარჯვებისათვის.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სხდომა გრძელდება. თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი სიტყვას აძლევს სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სირიის ხელმძღვანელობის წევრს იბრაჰიმ მახუსს.

— ჩვენ გულწრფელად მიგვაჩნია, — ამბობს იგი, — რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გახდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა, არამედ მთელი კაცობრიობის მონაპოვარი, გადაიქცა შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელთა მასებისათვის.

იმპერიალიზმი შეეცადა, როგორც თავის შესანიშნავ სიტყვაში თქვა ამხანაგმა ბრეჟნევმა შთაეგონებინა ხალხებისათვის მცდარი აზრი საბჭოთა კავშირის აგრესიულობის შესახებ. მაგრამ იმპერიალიზმმა ვერ მოატყუა ხალხები, რომლებმაც რევოლუციური მოძრაობის კვალობაზე შეიგნეს, რომ საბჭოთა კავშირი მათი ერთგული და უანგარო მეგობარია, შეიგნეს, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ მთელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისათვის ბრძოლაზე.

ჩვენ, თქვა იბრაჰიმ მახუსმა, მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ქვეყნებსა და ყველა სხვა მეგობარ სახელმწიფოს, რომლებიც დაგვეხმარნენ მოგვეგერიებინა იმპერიალიზმისა და მისი იარაღის — ისრაელის გაბოროტებული აგრესია.

იბრაჰიმ მახუსმა გამარჯვება უსურვა არაბთა ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ფრონტს.

ინგლისის კომუნისტების სახელით დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა სხდომის მონაწილეებს ასეთი სიტყვებით მიმართა:

მოგესალმებით თქვენ, როგორც ლენინის მემკვიდრეებს, როგორც იმათ მემკვიდრეებს, ვინც ზამთრის სასახლე აიღო და დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. მივესალმებით თქვენს სახელოვან 50 წლისთავს. ეს იყო სიძნელეებისა და განსაცდელის წლები, გამარჯვებებისა და დიად საქმეთა წლები. ლენინი რომ დღეს აქ იყოს, ჩვენთან ერთად, როგორ იამაყებდა სოციალიზმის შესანიშნავი გამარჯვებებით!

ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი ჩვენი პარტია მუდამ მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ აღვუთქვამთ ამხანაგ ლე ზუანს: „მთელი მსოფლიოს მშრომელები თქვენთან არიან!" ისინი არ შეწყვეტენ ბრძოლას, სანამ ამერიკელები არ გაეცლებიან ვიეტნამს.

შემდეგ ჯონ გოლანმა დასძინა: — თავის მოხსენებაში ამხანაგმა ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა ხალხი გაუკვალავი გზით მიდიოდა. ეს სავსებით სწორია. თქვენ მართლაც გაუკაფეთ გზა მთელ კაცობრიობას. ჩვენ ყველანი დიდად დავალებული ვართ თქვენს წინაშე. თქვენ პირველმა აღმართეთ წითელი დროშა დედამიწის ერთ მეექვსედზე. დღეს ეს დროშა ამაყად დაგვფრიალებს. და თქვენ, დიდი საბჭოთა ხალხი, არავის და არასოდეს არ გაანებებთ ხელყოს ეს დროშა!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი მარში, დიადი გამარჯვებანი უსურვა სხდომის ტრიბუნიდან ბრაზავილის კონგოს რევოლუციური მოძრაობის პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის მდივანმა, ეროვნული რეკონსტრუქციისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა კლოდ და კოსტამ.

საბჭოთა კავშირი იყო იმ პირველ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ცნეს ჩვენი ქვეყნის ახალი მთავრობა და გაუწიეს უყოყმანო მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, რაც საჭირო იყო მისი არსებობისათვის. ჩვენს ქვეყანასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობის სწრაფად დამყარება ჩვენთვის დიდი დახმარება იყო, თქვა შემდეგ და კოსტამ. დღეს, ამ საზეიმო [illegible] ვართ მადლობა ვუძღვნათ ამისათვის საბჭოთა კავშირის ხალხსა და კომუნისტურ პარტიას.

საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშრომელებისა და რევოლუციონერების მშობლიური სახლი გახდა. ასე თქვა საზეიმო სხდომაზე თავის გამოსვლაში ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა როდნეი არისმენდიმ.

ჩვენი პარტიისათვის, განაგრძო ორატორმა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მეგობრობას. სტრატეგიულ აუცილებლობად მიგვაჩნია მთელი ლათინური ამერიკის რევოლუციური მოძრაობის ერთობა საბჭოთა კავშირთან.

ეს ერთობა მით უფრო საჭიროა ახლა, როცა ამერიკის იმპერიალიზმი ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას, ჰიტლერული სისასტიკით განაგრძობს აგრესიას ვიეტნამში, აძლიერებს ძირგამომთხრელ საქმიანობას კუბის წინააღმდეგ. მისი ინტერვენციული პოლიტიკა, რომელიც ესოდენ დიდ მსხვერპლად დაუჯდა დომინიკის რესპუბლიკას, ვრცელდება მთელ ლათინურ ამერიკაზე. ერთობა აუცილებელია იმიტომაც, რომ ევროპის ცენტრში კვლავ იქმნება გერმანიის მილიტარიზმის სამხედრო მანქანა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო თათბირის მოწვევას და მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კონსტრუქციულ საქმიანობას ამ მიმართულებით.

— ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! — დაიწყო თავისი გამოსვლა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა აჰმედ ყაიდმა. — მე წილად მხვდა განსაკუთრებული პატივი და ბედნიერება საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახს, მის პარტიასა და მთავრობას გადავცე ალჟირელი ხალხის, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიისა და მთავრობის მხურვალე მისალმება ისტორიული მოვლენის, — ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის გამო.

რევოლუციური ალჟირელი ხალხი, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის წლებში ეფექტიანად უჭერდნენ მხარს საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ბანაკი, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და რომელიც გადაჭრით დაადგა სოციალიზმის გზას, ყოველთვის იმათ მხარეზე იქნება, ვინც იბრძვის დამოუკიდებლობისა და ეკონომიური განთავისუფლებისათვის.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მტკიცდება. სულ სხვადასხვა დარგში ნაყოფიერი თანამშრომლობით. და ბოლოს გამარჯვება უსურვა ამ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და სსრ კავშირის ყველა მშრომელს ძმური საბრძოლო სალამი გადასცა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა.

— 50 წლის მანძილზე შეიცვალა მსოფლიოს სახე. შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. მარქსისა და ენგელსის სამშობლოში შეიქმნა სოციალისტური სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. რომლის პოლიტიკა და წარმატებანი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ფედერაციული რესპუბლიკის განვითარებაზე. როცა თერთმეტი წლის წინათ ჩვენი პარტია აიკრძალა, დასავლეთგერმანელ კაპიტალისტებს ეგონათ, რომ ამით მოსპობდნენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას. მაგრამ გერმანიის კომუნისტური პარტია არსებობს, იგი ცოცხლობს და იბრძვის ხალხის საქმისათვის. გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრებმა იციან: მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეები უძლეველია!

ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, მხარს ვუჭერთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობას, იმას, რომ მოწვეული იქნეს მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი.

ინდოეთის კომუნისტების ნება-სურვილი, მათი სოლიდარობა საბჭოთა კავშირის კომუნისტებისადმი გამოხატა თავის გამოსვლაში ინდოეთის კომპარტიის დელეგაციის მეთაურმა შრიპატ ამრით დანგემ:

— ინდოეთის მშრომელებს უყვარხართ თქვენ როგორც სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლები და მომავალი კომუნისტური საზოგადოების შემქმნელნი. თქვენ მოინადირეთ გული ჩვენი ხალხისა, რომელსაც სწამს, რომ თქვენ კაპიტალისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის დიდი მებრძოლები ხართ. თქვენ ეხმარებით გმირ მებრძოლებს ვიეტნამში, კუბის რევოლუციის დამცველებს, არაბ, აფრიკელი და სხვა ხალხების განთავისუფლების საქმეს.

ყველა ჩვენთაგანისათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხალხი და მისი კომუნისტური პარტია, რომლებმაც 1917 წლის ოქტომბერში დაიწყეს მსოფლიო რევოლუცია, ყოველთვის იქნებიან ავანგარდში, მჭიდრო კავშირი ექნებათ ანტიიმპერიალიზმის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელ ძალებთან. გაუმარჯოს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!

შემდეგ გამოვიდა პოლ ბომანი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის, ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიისა და „აფრიკა-შირაზის" (ზანზიბარი) პარტიის გაერთიანებული დელეგაციის მეთაური, ტანზანიის რესპუბლიკის ეკონომიკის საკითხთა და განვითარების დაგეგმვის მინისტრი. დელეგაციის წევრები, განაცხადა მან, მოხარული არიან, რომ შესაძლებლობა აქვთ ჩვენს საბჭოთა ძმებთან ერთად იდღესასწაულონ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი. საბჭოთა კავშირმა სავსებით დაადასტურა ჩვენი იმედები და ჩვენი რწმენა სოციალიზმისადმი.

პოლ ბომანმა წაიკითხა ტანზანიის პრეზიდენტის ჯულიუს ნიერერეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობისადმი.

— 1967 წლის რუსეთი განასახიერებს სოციალიზმის რეალურობასა და ძლიერებას, ხოლო მარქსის, ენგელსისა და ლენინის იდეების შუქი ასხივოსნებს მთელ მსოფლიოს, — თქვა თავის გამოსვლაში ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. კორვალანმა.

ჩვენ, განაცხადა ორატორმა, სავსებით ვუჭერთ მხარს ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირი, იყო, არის და იქნება ყველა ჩაგრულის იმედი და ბურჯი, ყველას დასაყრდენი, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ჩვენ უდიდეს მადლობას ვუძღვნით რუსეთის ბოლშევიკებს, მუშებს და გლეხებს, ახალი საზოგადოების პირველაღმომჩენებს, იმ ეპოქის პიონერებს, რომელიც დაამძმობილებს ყველა ადამიანს.

სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და ტაშით გულითადად მიესალმებიან ჩილეს მშრომელთა წარმომადგენელს, ისევე როგორც მიესალმნენ კრემლის ყრილობათა სასახლეში გამოსულ საზღვარგარეთის დელეგაციების ყველა სხვა ხელმძღვანელს.

სხდომა მთავრდება. საბოლოო სიტყვას ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი. მან თქვა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად მადლობელია ჩვენი მეგობრებისა, რომლებიც ესოდენ მაღალ შეფასებას აძლევენ სოციალიზმის სამშობლოს წვლილს ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი ჩვენი ხალხის ერთგულების ფიცად გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვები:

— ჩვენ მტკიცედ მივდივართ წინ დიდი ოქტომბრის გზით. ოქტომბრის გზამ მოგვიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე! ოქტომბრის გზა მიგვიყვანს კომუნიზმის გამარჯვებამდე!

დარბაზში პასუხად ოვაცია ქუხს.

ლ. ი. ბრეჟნევი დახურულად აცხადებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ საზეიმო სხდომას. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს". გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და გმირ საბჭოთა ხალხს, გაუმარჯოს ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც გარდაქმნა სამყარო. (საქინფორმი).

რედაქტორის მოადგილე
გ. თათარიშვილი.


უე 03424 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.